# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბრძოლის გაწევა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 28 თებერვალი. 2020 წ. №37 (8963) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი




იხ. 3 გვ.

# ბარიგავირუსი საქართველოში

## რა აიმედებს ოპოზიციას?

შეთანხმების ფანჯარა ნელ-ნელა იხურება

3



## ქვეყანა დაცულია, განგაშის საფუძველი არ არის!



**საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ეკატერინე ტიკარაძესა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს ამირან გამყრელიძეს შეხვდა.**

პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ორბელიანების სასახლეში გამართულ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტს ჯანდაცვის მინისტრმა და დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა დეტალურად გააცნეს ქვეყანაში კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილი ვითარება, მთავრობის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი პრევენციული ღონისძიებები. **საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, დღეს ქვეყანაში კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობა, როგორც მთელ მსოფლიოში სერიოზულია, მაგრამ არა საგანგაშო.**

## რემი ვაშაკიძე – 85

# აღმშენებელი

## სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა



5



## ლიონ ფოიხტვანგერი:

# მე ჩემი თვალით ვნახე იოსებ სტალინის დიდი სიმართლე!..

**შარშან, წლის ბოლოს, ერთ ჩემს ნაცნობ გერმანისტ ქართველ ქალს (რომელმაც თავისი გვარის გაუმხელელობა მთხოვა) ბერლინში, თვალსაჩინო მეოცესაუკუნელი გერმანულენოვანი ებრაელი მწერლის ლიონ ფოიხტვანგერის არქივში მუშაობა მოუხდა და ამავე მწერლის ერთ-ერთ ნაკლებად ცნობილ მასალას შემთხვევით წააწყდა. კერძოდ, 1937 წელს მოსკოვში იოსებ სტალინთან ინტერვიუ-საუბარს.**

რაც შეეხება 1937 წელს მოსკოვში ფოიხტვანგერის ყოფნას, ცნობილია, რომ მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა ყურადღებით ადევნებდა თვალს იმხანად მიმდინარე ეგრეთ წოდებული ძირგამომთხრელი ანტისახელმწიფოებრივი, კერძოდ, ანტისტალინური პოლიტიკის მესვეურთა სასამართლო პროცესებს მოსკოვში, სვერდლოვსკსა და ჩელიაბინსკში.

მოსკოვში სასამართლო პროცესის დარბაზში მთელი რვა დღე ჩუმად და ყურებდაცქვეტილი იჯდა მკვეთრად გამოხატული ასკეტიკური სახის ვინმე სუსტი კაცი, რომელსაც აშკარად სციოდა და ნიკაპი უცხოურ ჭრელ შარფში ჩაერგო, ნერვიულად მოძრავ გაკნაჭულ მუშტზე ეტყობოდა, რომ ღელავდა.

მოსკოვში მწერლის საგანგებო სტუმრობის მიზანი ცხადი იყო. უცხოეთის პრესა ააჭრელა მოსკოვიდან გადაცემულმა ცნობებმა, რა შეუბრალებლად ექცეოდა სტალინური რეჟიმი ოპოზიციას. ზინოვი-

### 1937 წელი, მოსკოვი

ევისა და კამენევის დახვრეტა შუქდებოდა როგორც ხელისუფლების თავხედური ძალადობა. მსოფლიო საზოგადოებრიობა ამ სასამართლო პროცესებს გერმანიაში მიმდინარე ამბებს უკავშირებდა.

ფოიხტვანგერი, ებრაელი ხალხის ისტორიის დიდი მცოდნე, მოსკოვში ჩავიდა როგორც თავისებური რევიზორი. წასვლამდე მწერალი საფუძვლიანად მოემზადა. „ებრაული საკითხი“ ფოიხტვანგერის შემოქმედების მთავარი თემა იყო. შეუძლებელია, რომ მწერლის მახვილ თვალსა და გონებას ის ამბავი გამოჰპარვოდა, რაც რუსეთსა და გერმანიას განასხვავებდა. თუ გერმანიიდან ებრაელობამ გუდა-ნაბადი აიკრა, რუსეთში პირიქით, ებრაელობის ნამდვილი შემოსევა იყო!

ფოიხტვანგერს, როგორც სპეციალისტს, თავისი ურყევი შეხედულება ჰქონდა ისტორიაში პიროვნების როლის თაობაზე. ამიტომ იყო, რომ ყოველმხრივ ეყურადღებებოდა ჰიტლერსა და სტალინს, რომელთა პოპულარობამაც ყველა დანარჩენი პიროვნების სახელი დაჩრდილა ოკეანის ორსავე მხარეს.

ფოიხტვანგერს ერთი სული ჰქონდა, რომ მოსკოვში სტალინს მიეღო, თუნდაც სულ მცირე ხნით მაინც. მაგრამ ვაითუ მოუცლელობის გამო უარი ეთქვა. სტალინმა არა მარტო მიიღო, არამედ კარგა ხანს ესაუბრა კიდეც.

სტალინის მაგიდაზე თორადან ამონაწერი იდო: **„ერთხელაც დაეუფლებით თქვენსაზე მეტსა და ძლიერ ხალხს“.**

– თქვენ, ებრაელებმა, უკვდავი ლეგენდა შექმენით იუდაზე... ჩვენი ტროცკისტები წმინდა საქმის მოღალატეთა მხოლოდ ნაირსახეობანი არიან, – თქვა სტალინმა.

– თუმცაღა იმათ სახელებს მთელი მსოფლიო იმეორებს, როგორც რუსული რევოლუციის მთავარი ბელადებისას.

სტალინს სახეზე მკაცრი გამომეტყველება დაეტყო:

– იყავით ლოგიკური. მეფე იროდმა ყრმათა მოსპობით გაითქვა სახელი, რევოლუციის ბელადებმა, როგორც თქვენ იმათ უწოდებთ, გააჩაღეს „წითელი ტერორი“ და მიწაში ჩააწვინეს რუსი ხალხის ხუთი ტრადიციული წოდება. ასეთ პოლიტიკას თავისი საერთაშორისო ზუსტი სახელწოდება აქვს – გენოციდი.

– მერედა, ეგ განა ეგრეთ წოდებული კლასობრივი ბრძოლის შედეგი არ არის?

– კი, იმის შედეგია, – დაეთანხმა სტალინი. – მაგრამ, შემიძლია მითითება მივცე, რომ აუცილებელი მასალები მოგაწოდონ. კერძოდ, ამერიკული გაზეთების ამონაჭრები.

– ამერიკული გაზეთები ჩემთვის ისედაც ხელმისაწვდომია.

იხ. 6-7 გვ.

# საჭიროა მოქალაქეების ყოველ-დღიურ რეჟიმში ინფორმირება



გუშინ გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობას საზოგადოების ინფორმირებულობისთვის მადლობა გადაუხადა.

**„მსურს, ხაზგასმით და თითოეული მოქალაქის სახელით მადლობა გადაგიხადოთ პირადად თქვენ და თქვენს მოადგილეს, ბატონ პაატა იმნაძეს და საერთოდ დაავადებათა პრევენციის ცენტრს, რამეთუ ის ინფორმირებულობა, რომელიც თქვენ შემოგაქვთ ქართველ საზოგადოებაში მსგავს გამოწვევებთან დაკავშირებით, არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი.**

**მე რაც მოვისმინე ბოლო ორი დღის განმავლობაში, მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენი მთავრობის, ჯანდაცვის სისტემის, დაავადებათა ეროვნული ცენტრის ძირითადი ამოცანაა დროული გამოვლენა, ხოლო ჩვენი, როგორც მოქალაქეების, ძირითადი ამოცანაა პირადი ჰიგიენის ელემენტარული წესების დაცვა, რაც არ არის რთული.**

**ამიტომ, მე ვფიქრობ, ჩვენ ამ ამოცანებსაც გავუმკლავდებით ყველანი ერთად. კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს მთავრობა ახორციელებს ყველა საჭირო პრევენციულ ნაბიჯს და სრულად აკონტროლებს მიმდინარე პროცესს. გარდა ამისა, მინდა კიდევ ერთხელ უწყებათაშორისი საბჭოს თითოეულ წევრს ვთხოვო და საბჭოს ხელმძღვანელობას დავავალო, რომ შეიქმნას სპეციალური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეების ყოველდღიურ ინფორმირებულობას, იმისთვის არ იყოს არანაირი კითხვის ნიშნები დარჩენილი პასუხების გარეშე, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობა სრულად აკონტროლებს პროცესს და ჩვენ საკმაოდ ეფექტურად ვუმკლავდებით ამ გლობალურ გამოწვევას“** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

მთავრობის მეთაურის თქმით, ყველამ უნდა გაითვალისწინოს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები, რომლებიც უკვე რამდენიმე დღეა, საინფორმაციო საშუალებებით ვრცელდება.

**„აქტიურად გრძელდება უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობა, რომელიც შეიქმნა 28 იანვარს და სწორედ ამ საბჭოს ეფექტური მუშაობის შედეგად გახდა შესაძლებელი პირველი ფაქტის საზღვარზე დაფიქსირება — ისე, რომ ამ შემთხვევას, ფაქტობრივად, არ ჰქონია არანაირი შეხება ჩვენს მოქალაქეებთან. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც დაფიქსირდა კონკრეტულად საზღვარზე, რისთვისაც ჯანდაცვის სამინისტროს თითოეულ თანამშრომელს, ისევე როგორც მესაზღვრეებს და საბაჟოს თანამშრომლებს მადლობა უნდა გადავუხადოთ“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

# აფხაზეთში კარანტინი გამოცხადდა...

**აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ახალი ტიპის კორონავირუსის გამო კარანტინის გამოცხადებისა და დანარჩენ საქართველოსთან მიმოსვლის აკრძალვის მიუხედავად, ენგურის ხიდზე გადაადგილება გუშინ არ შეწყვეტილა.**

საწყის ეტაპზე შეზღუდვა შეეხებათ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის მსურველებს, ხოლო კონტროლირებულ ტერიტორიაზე მყოფ აფხაზეთის მკვიდრებს უკან დაბრუნების შესაძლებლობა მიეცემათ. აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი ბგანბამ 26 თებერვალს განაცხადა, რომ კარანტინი აუცილებელია კორონავირუსის გავრცელების შესაჩერებლად.

მისივე თქმით, აიკრძალა აფხაზეთში ყველა უცხოელის შესვლა და გასვლა.

# ეგრეთ წოდებული საზღვარი ცხინვალის დე ფაქტო მთავრობამაც ჩაკეტა

**სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობამ კორონავირუსის საფრთხის გამო ე.წ. საზღვარზე ყველა გამშვები პუნქტის ჩაკეტვის გადაწყვეტილება მიიღო.** ამის შესახებ ადგილობრივი მედია იტყობინება. გავრცელებული ინფორმაციით, ამ საკითხზე ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. უშიშროების საბჭოს სხდომაზე იმსჯელეს, რომელსაც ანატოლი ბიბილოვი ხელმძღვანელობდა. სხდომა საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევის დაფიქსირების გამო დაინიშნა.

**„ეს სერიოზული გამოწვევაა სამხრეთ ოსეთისთვის. რეაქცია ოპერატიული და ამავდროულად აწონ-დაწონილი და სწორი უნდა იყოს“,** — განაცხადა ბიბილოვმა.

COVID-19-ის აფეთქების თავიდან არიდების მიზნით ე.წ. საზღვარზე ყველა გამშვები პუნქტი განსაკუთრებულ განკარგულებამდე სრულად ჩაიკეტება.



# განათლების სამინისტრო სკოლებში სასწავლო პროცესის შეჩერებას არ გეგმავს

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს, რომ საქართველოში კორონავირუსის დაფიქსირების მიუხედავად, არც საერთაშორისო სტანდარტითა და არც ჯანდაცვის რეკომენდაციებით ამ ეტაპზე სწავლის შეწყვეტის საფუძველი არ არსებობს.** **უწყებაში ამ თემაზე სპეციალური ბრიფინგი გაიმართა.**

ამის მიუხედავად, პრევენციისა და რისკის ეფექტიანი მართვის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სკოლებში სანიტარიულ ნორმებს ამკაცრებს. კერძოდ, მოსწავლეთა ჯანმრთელობის, სასწავლო პროცესის ეფექტურობისა და სკოლებში ჯანმრთელი გარემოს შესაქმნელად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ სანიტარიისა და ჰიგიენის ნორმების დასაცავად სკოლებში მოთხოვნები კიდევ უფრო გაიზრდება. შესაბამისად, ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრების მიერ სკოლების მონიტორინგის პროცესი უფრო ინტენსიური გახდება, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი გართულება.

**ამ მიზნით, სამინისტრო სკოლების ადმინისტრაციას კიდევ ერთხელ მოუწოდებს, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა სკოლებში სათანადოდ უზრუნველყონ.**

# ბაღებში დასწრების მაჩვენებელი არ შემცირებულა

**ქვეყანაში კორონავირუსის პირველი შემთხვევის დაფიქსირების მიუხედავად, თბილისის საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა დასწრების მაჩვენებელი არ შემცირებულა და ეს მონაცემი 40-დან 60 პროცენტამდე მერყეობს, არანაირი პანიკა მშობლებს შორის არ შეინიშნება,** — ამის შესახებ საქართველოს „პირველ არხს“ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში განუცხადეს. **მათი თქმით, დასწრების მსგავსი მაჩვენებელი მიმდინარე სეზონისთვის დამახასიათებელია და რამე ცვლილება არ დაფიქსირებულა.**

# როგორ შეხვდნენ საქართველოში მოქალაქეები კორონავირუსის პირველ შემთხვევას

**საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევის დაფიქსირებას ერთგვარი პანიკა მოჰყვა. უპირველესად, ეს აფთიაქებსა და მაღაზიებში აჟიოტაჟის დაწყებაში გამოიხატა. მოქალაქეები პირბადეების და მედიკამენტების შეძენას ცდილობდნენ, ასევე იმარაგებდნენ არამალფუჭებად საკვებს: ზეთს, მაკარონს, ლობიოს, ბურღულეულს, ორცხობილებს და ა.შ.**



სადღეისოდ აფთიაქებში პირბადეების დეფიციტია, თუმცა ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ განაცხადა, რომ სააფთიაქო ქსელებს მარაგების შევსებაში დაეხმარებიან, ხოლო მათი ფასი არ გაიზრდება. ამასთან, მინისტრის თქმით, სადღეისოდ პანიკის საფუძველი და რისკი იმისა, რომ საქართველოში ახალი ტიპის კორონავირუსი გავრცელდეს, არ არსებობს.

თემის გაგრძელება
იხ. მე-8 გვ.

# უნიკალური მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსი

**თბილისში 10 500 გულშემატკივარზე გათვლილი, მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსი აშენდება, რომელიც 2021 წელს კალათბურთის ევროპის ჩემპიონატის მატჩებს უმასპინძლებს,** — შესაბამისი გადაწყვეტილება მთავრობის გუშინდელ სხდომაზე მიიღეს.

უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე თბილისის ოლიმპიური სასახლის ახალი დარბაზის სამშენებლო სამუშაოების წინა მოსამზადებელი ეტაპი უკვე დაწყებულია.

პროექტის ჯამური ღირებულება 71 მილიონი ლარია, საიდანაც 50 მილიონი ლარი — მიმდინარე წლის, ხოლო 21 მილიონი მომავალი წლის ბიუჯეტიდან გამოიყოფა. აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად, სახელმწიფო დაახლოებით 130 მილიონ ლარს ზოგავს, რამდენადაც თავდაპირველი პროექტის ღირებულება თითქმის 250 მილიონ ლარს შეადგენდა.

**სპორტულ კომპლექსში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 3 დარბაზი აშენდება, რაც სპორტის სხვადასხვა სახეობაში მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობის შესაძლებლობას იძლევა. მშენებლობა 2021 წლის ივნისში დასრულდება.**

როგორც პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, 2021 წელს კალათბურთის ევროპის ჩემპიონატის ჯგუფის მატჩების მასპინძლობა ძალიან მნიშვნელოვანია როგორც სპორტული, ასევე ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. მისი თქმით, ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ თბილისს ახალი მულტიფუნქციური სპორტული ინფრასტრუქტურა დარჩება.

# „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება“

**თბილისის მერიამ, ახალი პროგრამის „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების“ განხორციელების წესი დედაქალაქის საკრებულოს გადაუგზავნა, ამის შესახებ დედაქალაქის მერიის პრესსამსახური იტყობინება.**

უწყების ინფორმაციით, საკრებულოს მიერ წესის განხილვისა და დამტკიცების შემდეგ, მერია დაფინანსების მსურველ პირთა საბუთების მიღებას და საგარანტიო წერილების გაცემას დაიწყებს.

თბილისის მერიის პროგრამა, გაფანტული სკლეროზის (G35) დიაგნოზის მქონე 15-დან 60 წლის ჩათვლით პირებისთვის, სამკურნალო ძვირად ღირებული მედიკამენტების „ოკრელიზუმაბისა“ და „ფინგოლიმოდის“ დაფინანსებას ითვალისწინებს.

**სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი სრულად დაუფინანსდებათ, ხოლო ყველა სხვა პირს — 80%-ით.**

დედაქალაქის მერია მიმდინარე წელს თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 180 ბენეფიციარის დაფინანსებას გეგმავს და ერთი პაციენტის დასაფინანსებლად წელიწადში 24 ათასამდე ლარს გამოყოფს.

**გაფანტული სკლეროზი ქრონიკული პროგრესირებადი ნევროლოგიური დაავადებაა. თბილისის მერიის მიერ ამ პროგრამის დაწყების მიზანია, მოსახლეობის სრულფასოვანი მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით, გაფანტული სკლეროზის დიაგნოზის მქონე პირთა შრომის უუნარობის თავიდან აცილება.**

# ბარიგავირუსი საქართველოში

ამ წერილს ერთი პოლიტიკურ-სამედიცინო ფეისბუქ-პოსტით დავიწყებ:

**ჯანდაცვის სამინისტრო გვაფრთხილებს: ევრონაცი არის ნაცის ახალი შტამი, რომელიც გადადის სამოქალაქო აქტივისტების, ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის გზით. თავის დასაცავად ყურებში უნდა დავიცოთ ბამბა და არ ვუყუროთ მათ სატელევიზიო გამოსვლებს ან დავლიოთ ბევრი არაყი და „დავიკიდოთ“. ხელებიც დავიბანოთ ყოველი შემთხვევისთვის.**

ბუნებრივია, რომ ჩვენი ე.წ. „პოლიტიკური სპექტრის ოპოზიციური“ ნაწილი, მაშინვე გამოეხმაურა საქართველოში დაფიქსირებულ კორონავირუსის პირველ შემთხვევას და სრულ მარაზმატიკულ სტილში შესრულებული, მათთვის ჩვეული განცხადებები გააკეთა.

„ხელისუფლებამ იმდენი ილვაწა, ჩვენი არაერთგზის მოწოდების მიუხედავად, იმდენ ხანს არ დაკეტა სახმელეთო საზღვარი, რომ **მაინც შემოატანინა** ირანიდან კორონავირუსი. ეს იურიდიულადაც უმძიმესი დანაშაულია, განზრახი ქმედებაა, რადგან მთელ ქვეყანას დაემუქრა სასიკვდილო დაავადების საფრთხე. უკვე მიხრწნილ სისტემას უნდოდა, მათგან დაზაფრული საზოგადოების ყურადღება გადართულიყო არა რეჟიმის მოცილებაზე, მასობრივ მიტინგებზე, სხვა საპროტესტო აქციებზე, არამედ კორონავირუსზე. დღეს დიდი ზეიმი ექნებათ სოლოლაკსა და შეკვეთილში. მიუხედავად ყველაფრისა, ვარწმუნებ — არ გიშველით არც ეს ვირუსომანია“ — წერს შალვა ნათელაშვილი.

რა თქმა უნდა, მანამდე არც სააკაშვილმა დაგვაკლო „რეკომენდაციები“:

„მთავრობამ უნდა დაკეტოს ირანიდან ავიამიმოსვლა და ირანის მოქალაქეების შემოსვლა საქართველოში. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დიდი ეპიდემიის ასაცილებლად!“ — წერდა მიხეილ სააკაშვილი ფეისბუქში.

ამათ რომ ვუსმენ, ერთი ძველი ქართული გამოთქმა მახსენდება — უსაქმური კაცი უხერხულ ადგილს მახათში იყრიდაო.

ზუსტად ასეა ამ ორი „ლოზუნგას“ საქმე.

მიHავ, ვინ გეკითხება, მთავრობა რას იზამს? რას „ჩუნჩურიკობ“, ჩადი კრეშჩატიკზე, გაიარ-გამოიარე, თვალს წყალი დაალევინე, იქნება ვინმე დნეპროპეტროვსკელ „დაიარკას“ გაჰკრა კბილი, მაგრამ ყოვლად უაზრო რომ იქნები, აღარაფერი გეშველება.

რაც შეეხებათ იმ ბაქტერიებს, რომლებიც ამდენი წელია, შესეულნი არიან ქართულ პოლიტიკას, ვიტყვი, რომ უკვე დიდი ხანია, ყელში ამოვიდნენ და იმედი მაქვს, რომ 2020-ის არჩევნებზე ქართველი ხალხი კარგ ვაქცინას გაუკეთებს.

„მე ჩემი პოლიტიკური ბიოგრაფია მაქვს. მე როცა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ვიბრძოდი, ივანიშვილი მაშინ იყო ჩვეულებრივი „ბარიგა“. ივანიშვილის გვერდით დავდექი მე. ის გადმოვიდა ოპოზიციაში და დროს, ქრონოლოგიას აქვს მნიშვნელობა. მე პოლიტიკაში მოვედი საბჭოთა კავშირის დროს და ვიმეორებ, ივანიშვილი მაშინ იყო „ბარიგა“, — განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

რა პოლიტიკური ბიოგრაფია? რის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა? ვის ატყუებს ეს მართლა „ბარიგა“. ხალხმა ყველაფერი იცის და ისიც იცის, რომ ყველაზე საზიზღარი ბარიგა არის ის, ვინც მამის სახელით შოულობს ყველა სიკეთეს და ბოლოს იმათთან აღმოჩნდება, ვინც მას მთელი ცხოვრება დასანახად ვერ იტანდა, ვერც ახლა იტანს და ახლოს იყოლიებს მანამ, სანამ სჭირდება, მერე კი ნახმარი პრეზერვატივივით მოისვრის.

ეს თავადაც კარგად იცის, მაგრამ სული აქვს ბარიგული და ვერაფერს აკეთებს. ეგაა და ეგ. მეტი არაფერი.

პოლიტიკური „ბარიგობის“ კიდევ ერთი შტამი ვანო მერაბიშვილის ციხიდან გათავისუფლების შემდეგ გამომჟღავნდა:

— მაპატიეთ, რომ ვანო მერაბიშვილში გმირს კი არა, გაქუცულ და კომიკურ ყოფილ შავრაზმელს ვხედავ — წერს ნინო ჯანგირაშვილი.

მართლა მაპატიეთ, მაგრამ არ მესმის, ვანო მერაბიშვილისგან ასეთი გამიჯვნა, რას ნიშნავს?

მერაბიშვილის მონსტრად შერაცხვით „აპრავდანიას“ ეძებთ ის ხალხი, რომლებიც ბოკერიასთან სხედხართ, რომლებიც ბარამიძესთან სხედხართ, რომლებიც ნათელაშვილთან სხედხართ?

უკაცრავად და ახლა გვარები უნდა ჩამოვთვალო — ქალბატონო ბესელია, ქალბატონო ბურჯანაძე, ბატონო ხაზარაძე დ.ა.შ. — მერაბიშვილი არ „გევასებათ“ და რუსთაველზე უგულავა-ბოკერიასთან ერთად საზეიმო ფოტოზე პოზირებთ?

ვის ატყუებთ?

თქვენ ხალხი იდიოტი ხომ არ გგონიათ?

რას „ფოკუზნიკობთ“? („ზ“ კორექტურა არ არის, თქვენ „იმენნა ფოკუზნიკობთ“).

თქვენ ხომ კოლექტიური „გუბაზები“ ხართ. იმან უბრალოდ დაგასწროთ მიHასთან ჩასვლა და ახლა ამაზე გწყდებათ გული.

ხვდებით, რომ ვერც მიHას ატყუებთ და აი მანდ დგეხართ!

ისხედით იმ ტელევიზიებში, რომლებსაც მხოლოდ იმიტომ სჭირდებით, რომ თავიანთთვის რაღაც ფონი შექმნან, ზუსტად ისე, როგორც კესარია სჭირდებათ.

ისიც კარგად იცით, რომ ყველა მხრიდან გარიყულები ხართ. იცით, რომ იმ ჭაობში ხართ, სადაც რაც მეტს იფართხალებთ, უფრო ჩაეფლობით.

გეფიცებით, ვანო მერაბიშვილის დებილურად ნაძირალა ინტელექტი მირჩევნია თქვენს პოლიტიკანობას.

ის დამნაშავეა და ბოლომდე პასუხი არ გაუცია კანონისთვის. დამერწმუნეთ, აუცილებლად გასცემს (ან ხალხს რად უნდა მისი თუნდაც 10-წლიანი ციხე, ის ხომ ორიოდ ნაძირალას გარდა ქვეყანამ მოკვეთა. ეგ კი არა და თქვენც უარს ამბობთ მასზე).

აი, თქვენ კი იმაზე უარესები ხართ. ჭამთ ამ ქვეყანას, ჭამთ და ვერ გაძეხით!

აი, მერაბიშვილზე უარესი რომ იქნები, ყველაზე საშინელი განაჩენია!

თქვენ პოლკოვნიკ სეხნიევზე უფრო მდაბიოები ხართ და ამიტომ არ გეტყვით მუშნი ზარანდიას სიტყვებს — მე თქვენს ადგილას თავს მოვიკლავდი!

წადით, იცხოვრეთ, თუ შეგიძლიათ!



**გია გაბრიჭიძე**





**გუბაზ სანიკიძე:**

**მე ჩემი პოლიტიკური ბიოგრაფია მაქვს. მე როცა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ვიბრძოდი, ივანიშვილი მაშინ იყო ჩვეულებრივი „ბარიგა“. ივანიშვილის გვერდით დავდექი მე. ის გადმოვიდა ოპოზიციაში და დროს, ქრონოლოგიას აქვს მნიშვნელობა. მე პოლიტიკაში მოვედი საბჭოთა კავშირის დროს და ვიმეორებ, ივანიშვილი მაშინ იყო „ბარიგა“.**



**შალვა ნათელაშვილი:**

**ხელისუფლებამ სამწუხაროდ კიდევ ერთხელ გაწირა ხალხი. არაერთგზის მოწოდებისა, მან არ დაკეტა საზღვარი ირანთან. შედეგად, კორონავირუსი უკვე საქართველოშია. გათვლა ძალიან მარტივი გახლავთ, გადაიტანონ ხალხის ყურადღება რეჟიმის შეცვლიდან, აქტიური საპროტესტო აქციებიდან და მიტინგებიდან სასიკვდილო ინფექციაზე. ვარწმუნებ ივანიშვილის რეჟიმს — ვერანაირი ვირუსომანია მათ ვერ გადაარჩენს.**

# რა აიმედებს ოპოზიციას?

## შეთანხმების ფანჯარა ნელ-ნელა იხურება

**საარჩევნო სისტემის ირგვლივ ჯერ ისედაც უშედეგო და თან შეწყვეტილი დიალოგის პირობებში პოლიტიკურ მხარეთა შეთანხმების ფანჯარა ნელ-ნელა იხურება: თებერვლის ბოლოსთვის უნდა გაირკვეს, როგორი საარჩევნო სისტემის პირობებში მოუწევთ მოქალაქეებს საკუთარი პოლიტიკური არჩევანის დადასტურება.**

25 თებერვალს საქართველოში აშშ-ის ელჩის მოადგილესთან გამართული არაოფიციალური სადილის შემდეგ, რომელსაც სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რიგ ოპოზიციურ ლიდერთა ზოგად კომენტარებში ფრთხილი ოპტიმიზმი გაჩნდა. მაგალითად, „ლელოს“ წევრმა **დავით უსუფაშვილმა** განაცხადა, რომ „ხელისუფლებას უკეთ აქვს გააზრებული შექმნილი ვითარება და ის პრობლემები, რაც ქვეყანას დაემართა საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით“. ახლა მთავარია, უსუფაშვილის მიერ ხსენებული „გააზრება“ კონკრეტულ გადაწყვეტილებებში კონვერტირდეს.

იხ. 8 გვ.

# ყველა მხრიდან არის ნაბიჯები გადადგმული იქეთკენ, რომ მთავარ პრინციპებზე შევთანხმდეთ...

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ დიპლომატების, მმართველი გუნდის წარმომადგენლებისა და ოპოზიციის ნაწილის შეხვედრის შემდეგ დიალოგის მნიშვნელობაზე კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება.**



თალაკვაძის განცხადებით, ხელისუფლება საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით მაქსიმუმს გააკეთებს, რათა სამართლიან პრინციპებზე შეთანხმდნენ.

არჩილ თალაკვაძემ მედიასთან მოლაპარაკების დეტალებზე საუბრისგან თავი შეიკავა.

მისი თქმით, ყველა დეტალი ცნობილი გახდება, როგორც კი მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის შემდეგი დიალოგი დაინიშნება.

თალაკვაძე ვარაუდობს, რომ ეს მოკლე პერიოდში მოხდება.

**შეხვედრაში მონაწილეობდნენ: საქართველოში ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი, გერმანიის ელჩი ჰუბერტ ქნირში და აშშ-ის ელჩის მოადგილე ელიზაბეთ რუდი, ასევე პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე, უმრავლესობის წარმომადგენელი ირაკლი კობახიძე, დამოუკიდებელი დეპუტატები თამარ ჩუგოშვილი და მარიამ ჯაში, დეპუტატი გია ჟორჟოლიანი, „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირმა ინაშვილი, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლები — „ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე, „ლელო საქართველოსთვის“ წარმომადგენელი დავით უსუფაშვილი, „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე გრიგოლ ვაშაძე, „ახალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ვაშაძე, „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი გიგა ბოკერია, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი, დეპუტატი თინა ბოკუჩავა.**

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილე ელიზაბეთ რუდი აცხადებს, რომ ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონსტრუქციული შეხვედრა გაიმართა.

როგორც ელიზაბეთ რუდმა აღნიშნა, შეხვედრაზე განიხილეს პოლიტიკური საკითხები.

**„ახლახან მონაწილეობა მივიღე დიპლომატებისა და პოლიტიკოსების არაფორმალურ შეხვედრაში. ჩვენ განვიხილეთ პოლიტიკური საკითხები, მაგრამ არ ვაპირებ დეტალებზე საუბარს. ვიტყვი, რომ ეს იყო კონსტრუქციული შეხვედრა და ყველას დაუტოვა საფიქრალი, რომელიც აისახება უახლოეს მომავალზე“,** — განაცხადა რუდმა.




# ცოდნა, არცოდნა, საკითხავი აი, ეს არის!..

**„არაფერია დაფარული, რომ არ გაცხადდეს და დამალული, რომ არ გამჟღავნდეს“.**

**ლუკას სახარება...**

**ჰოდა, როგორც ახლა გაირკვა, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, ლონდონში კერძო (არაოფიციალური) ვიზიტით მყოფი ცოლქმარი გორბაჩოვები განსაკუთრებული პატივით მიიღო მარგარეტ ტეტჩერმა. აშკარად ზედმეტი პომპეზურობით იქიდან გამომდინარე, რომ იმჟამად მიხეილ გორბაჩოვი პოლიტბიუროს ერთი რიგითი წევრი იყო, რომლის ერთადერთი უპირატესობა მიხრწნილობაში მყოფი ბებრების წინაშე მისი ახალგაზრდული ასაკი იყო...**

თუმც იმ სამარცხვინო დრომდე, როდესაც ბრეჟნევის შემდეგ თვეების ინტერვალით, კრემლის კედელთან ერთმანეთის მიყოლებით იჭრებოდა ბებერი გენსეკების ახალ-ახალი საფლავები ჯერ კიდევ შორს იყო — სავარაუდოდ, აშშ-ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა სწორედ გათვალეს, გააანალიზეს ყოველივე ზემოთ თქმული და, როგორც ამბობენ, მიხეილ გორბაჩოვი სწორედ ბრიტანეთში ვიზიტისას „დაავერბოვკეს“ და ე.წ. გავლენის აგენტად ჩასვეს სსრკ-ს მმართველობის უმაღლეს ორგანოში!..

მიხეილ გორბაჩოვი, რომლის მიერ დაწყებულმა ე.წ. პერესტროიკამ პირველ რიგში საქართველო „დააბოლა“ და შეაგულიანა და1988 წლის 12 ნოემბერს საბჭოეთში (თბილისის იპოდრომი) პირველებმა (ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თაოსნობით) დიდი საპროტესტო მიტინგი  თუ აქცია ჩავატარეთ, არც მეტი, არც ნაკლები, ეგრევე საქათველოს ეროვნული დამოუკიდებლობის რადიკალური მოთხოვნით, რასაც აღტყინებული დამსწრე საზოგადოება სადღეგრძელოს მსგავსი — გაუმარ-ჯოს, ჯოს, ჯოს! სკანდირებით შეეგება...

რაში დამჭირდა წინამდებარე წერილის ეს არც თუ მცირე პროლოგი? მითუმეტეს, რომ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, თითქოს მთავარ სათქმელთან, ნაკლებად, რომ რაიმე საერთო ჰქონდეს?

პირველი და უმთავრესი, დღევანდელი საქართველოს ყოველმხრივ სავალალო მდგომარეობა სწორედ იმ გეოპოლიტიკური ღალატის (თუ ასე თქმა შეიძლება) ბრალია, რასაც გავლენის აგენტების (გორბაჩოვი, ელცინი, შევარდნაძე, იაკოვლევი და ა.შ.) მიერ სსრკ-ს დაშლა ჰქვია, რასაც (არ მეშინია რუსოფობი ლიბერასტების) რუსეთის პრეზიდენტმა XX საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა უწოდა!

მეორეც, ზემოთ ხსენებულ იპოდრომის აქციის თარიღს, მავანნი და არც თუ უსაფუძვლოდ, ახალი ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის დაწყებად მიიჩნევენ და თქვენი მონა-მორჩილი იმ დღიდან მოყოლებული, ხატოვნად თუ ვიტყვით, სულ ქუჩაში ვარ, სახლში არ შევსულვარ, როგორც ერთი რიგითი ჯარისკაცი, არცერთ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან აქციასა თუ მიტინგს არ დავკლებივარ! ეს სატრაბახოდ კი არა, იმის აღსანიშნავად მინდა, ბოლოს და ბოლოს, რა შეგვაღონეს ამ „პოლიტიკოს-ექსპერტებმა“, თავს რომ გვამადლიან და ტელეეკრანებიდან ზემოდან რომ გვიყურებენ და მენტორული ტონით გვესაუბრებიან?

არა მგონია, რომ სადმე არსებობდეს რაიმე ტიპის კოლეჯი თუ უნივერსიტეტი, რომლის დამთავრების შემდეგ დიპლომის გრაფაში სპეციალობა „პოლიტიკოსი“ ან „ექსპერტი“ ეწეროს?!

აბა, რა არის საჭირო, რომ ჭეშმარიტად პოლიტიკოს-ექსპერტის სახელი დაიმკვიდრო და არა „დაგიმკვიდრონ“? — პატარა ცხოვრებისეული, პოლიტიკური გამოცდილება (**პირველი,** 63 წლის კაცს მგონია, არ მაკლია?!), რაც შეეხება **მეორეს,** აკი ზემოთ ვთქვი, 30 წელიწადია ქუჩაში ვარ-მეთქი და ამიტომ, ალბათ, არც პოლიტიკურში უნდა მოვიკოჭლებდე?!

**მესამე** — განათლებული უნდა იყო და **მეოთხე** და, ალბათ, უმთავრესი — შუბლის ძარღვი არ უნდა გაიწყვიტო, „პატარა“ სინდის-ნამუსი უნდა გქონდეს...

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მავანმა შეიძლება იფიქროს, რომ თქვენს მონა-მორჩილს პოლიტიკოსობაზე მაქვს პრეტენზია — ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის შემხედვარეს, რომელსაც ობიექტივის ტელეჟურნალისტმა ბონდო მძინარაშვილმა ენამოსწრებულად ქარვასლის ოპოზიცია უწოდა, ვითომ რატომაც არა, რო? ეს ისე, როგორც იტყვიან, ხუმრობაგაშვებით.

სერიოზულად კი ერთ კითხვას დავსვამ, რომელსაც თავადვე ვუპასუხებ — ნაცების ტრენდზე მაუწყებელი ტელევიზიები ჩემისთანა ჟურნალისტებს რატომ არ იწვევენ ამაზრზენ პოლიტიკურ თოქ-შოუებზე?

რატომ? რატომ და იმიტომ, რომ ხმამაღლა განვაცხადებდი — გიორგი (ჟორიკა) რურუას პოლიტპატიმრობა დაახლოებით იგივეა, ამერიკელ განგსტერ ალკაპონეს რომ მრავალი „ტრუპი“ ჰყავდა, მთელმა ამერიკამ იცოდა, მაგრამ აშშ-ის იუსტიციამ  ვერცერთი მკვლელობა ვერ დაუმტკიცა და ციხეში მხოლოდ გადასახადების დამალვის გამო ჩასვეს. რა, ალკაპონეც პოლიტპატიმრად უნდა გამოეცხადებინათ!

არ ვიცი, რა ჩაუდეს თუ არ ჩაუდეს „პოლიტპატიმარ“ ჟორიკას, მაგრამ სანდო წყაროსგან ვიცი ის, თუ ჯაბა იოსელიანის პროფესიონალმა ქილერმა (ამჟამად „პოლიტპატიმარმა“) გიორგი რურუამ როგორ ჩაცხრილა მანქანაში ავტომატით ვერაზე, ე.წ. სემიონოვკაზე, თორაძეების მთელი ოჯახი (2 ძმა, ერთერთი ძმის ცოლ-შვილი), თუმცა, რად უნდა ამას „სანდო წყარო“, ამაზე მთელი თბილისი ლაპარაკობდა...

* * *

**გიგი უგულავას დაპატიმრების შემდეგ, ე.წ. ქარვასლას ოპოზიციამ, როგორც ჩანს, ცხელ გულზე საყოველთაო დაუმორჩილებლობა და მასობრივი საპროტესტო აქციები დააანონსა, მაგრამ „გაგრილებულებს“ ეტყობა, გაახსენდათ, რომ მიუხედავად „გავრილოვის ღამისა“, მაჩალიკაშვილის „დილამშვიდობისა“ და ა.შ. ხალხი მათ აქციებზე არ დადის და ეს სურათი არც ნიკა გვარამიასა და მამუკა ხაზარაძის გაძაგვრის შემთხვევაში შეიცვლება.**

რატომ? რატომ და იმიტომ რომ, როგორც ერთი ქართული ანდაზა ამბობს, ნაგუბარში წყალი დგებაო და მართლაც ნათელაშვილის ქარვასლაში გაერთიანებულ ოპოზიციაში ყველა ის ხალხი მოქუჩდა ერთად, რომლებიც სხვა და სხვა ეტაპზე და სხვა და სხვა დოზით, ქართველთა სისხლსა და ცრემლში მოვასვასე მიშა სააკაშვილთან ასოცირდებოდნენ. ეს სახელი და გვარი, უფრო სწორად „ის“ 9 წელიწადი, როდესაც ვანო მერაბიშვილი 2 გვამს „იქ“ ითხოვდა, ხოლო მეორე ორ გვამს „აქ“, რუსთაველზე, სახურავებზე ალაგებდა, მიუხედავად დასავლეთიდან გამოგზავნილი  „ფოჩიანი კანფეტებისა“ თუ იგივე დასავლეთიდან გამოგზავნილი მუქარანარევი „რეკომენდაციებისა“ — „მოგიწევთ ბოკერიას შეყვარებაო“, არ მოხდა და არც არასოდეს მოხდება, რადგანაც ჰიტლერული გერმანიის ჯალათებსაც არ მოსვლიათ თავში ის, რაც მიშნაცებმა საქართველოს დამართეს!

**ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ერთი უეჭველი დასკვნის გამოტანა შეიძლება — არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ქართველმა საზოგადოებამ იცის თუ რა არ უნდა, ეს არის ნათელაშვილის ქარვასლაში გაერთიანებული „ოპოზიცია“, რომელსაც ხმას არავინ მისცემს, რადგანაც იქ არის ვინმე ისეთი, რომელსაც ოდესმე რაღაცა კარგი, მნიშვნელოვანი გაეკეთებინოს საქართველოსთვის?**

ამ კითხვაზე დადებითი პასუხი მე არა მაქვს და იქნება თქვენ მიკარნახოთ, მკითხველო?

ეს ყველაფერი, მიუხედავად გარეგნული ბაქიბუქისა, მშვენივრად ესმის ანტიქრისტე გიგა ბოკერიას, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის დასავლეთიდან საპროტესტო წერილების ორგანიზებაში. წერილების, რომლებზე ღირსეული პასუხების გაცემის მაგივრად, „ქართული ოცნება“ ლობისტურ კამპანიებს ქირაობს. არადა, ჩვენი „დასავლელი მეგობრების“ დემაგოგიურ წერილებს ყოველგვარი ლობისტების გარეშე შეუძლია ღირსეული პასუხების გაცემა — ის ტელესიუჟეტები, რომლებსაც აქ, შიდა მოხმარებისთვის ამზადებს ერთადერთი ნახევრად სამთავრობო ტელე-იმედი იმ მიზნით კეთდება, რომ საზოგადოებას არ დაგვავიწყდეს მიშნაცების მიერ ჩადენილი დანაშაულები... გვახსოვს, ბატონო, გვახსოვს და ტყუილად ნერვებს ნუ გვიშლით.

ამ პოლიტიკურ ხელჩუკენობას სჯობს, მიშნაცების პატრონებს წაუღოთ აშშ-ევროპაში და იმ საშინელი კადრების საჯარო ჩვენება მოსთხოვოთ ჩვენს ამერიკელ „მეგობრებს“ და თუნდაც მხოლოდ 2 გვამის შემდეგაც (აღარაფერს ვიტყვი სამეგრელოს კასრებზე) გიგა ბოკერიას შეყვარება გვიბრძანეს (ახლა ალბათ ვანო მერაბიშვილიც დაემატება „პოლიტპატიმართა“ სიას) მაშინ ძია სემი რუსულ სამ ასოზე გააგზავნეთ — ასეთი კაცური ნაბიჯის შემთხვევაში ღმერთი არ გაგვწირავს, უფალი ჩვენთან არის, შიმშილით არ დავიხოცებით!

თქვენ კი რას აკეთებთ ქოცებო?..

შნირი, ციხის ჟარგონით, მოსამსახურეს, დამლაგებელს ნიშნავს და თავის მართლების რეჟიმში ამერიკაში ჩასულნი იმას ეფიცებით „ძია სემს“ ვაზელინწასმულნი, რომ თქვენ, ფარჩაკი ქოცები უფრო მაგარი შნირები იქნებით, ვიდრე ფაშისტი მიშნაცები!

არადა, ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს უპეცედენტო ტრაგიკომედია...

**შინაურ ფრონტზე ხელჩაქნეული ნაცები გარედან ცდილობენ საქართველოში დესტაბილიზაციის მოწყობას, ამ უნიათო ქოცების ქმედება-უმოქმედობის წყალობით, ქვეყანაში რევოლუციური სიტუაციის შექმნას. ეგება იმას ჰქვია ნაცების დაანონსებული მასობრივი დაუმორჩილებლობა, საპროტესტო აქციები, როდესაც აშკარად „მხარედ“ ქცეული ტელევიზიები ყოველდღიურ რეჟიმში აწყობენ პოლიტიკურ თოქ-შოუებს, მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის მოწინააღმდეგე მომღერალ-არტისტების, „ჟურნალისტების“, არასამთავრობო სექტორის, „ექსპერტების“ და ა.შ. ზოგადად ლიბერასტული იდეოლოგიის მაღიარებელი ხალხის მონაწილეობით...**

ერთი სიტყვით, ერთობ პარადოქსული სიტუაციაა — არჩევნების წინ ქართველმა საზოგადოებამ ერთმნიშვნელოვნად იცის თუ რა არ უნდა, მაგრამ არ იცის, რა ან ვინ უნდა!

არჩევნებზე გამოჩნდება, რა უფრო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი იქნება, ცოდნა თუ არცოდნა, „საკითხავი აი ეს არის!



**დავით მხეიძე**

**P.S.** **ამასობაში ჩვენს მეზობელ და „ისტორიულ მტერ“ რუსეთში მიმდინარეობს კონსტიტუციაში ცვლილებების რთული პროცესი, რომელსაც არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ყურადღებით აკვირდებიან, რადგანაც ჩვენგან განსხვავებით კარგად აცნობიერებენ, რომ ერთი შეხედვით რუსეთის კონსტიტუციაში ცვლილებები მხოლოდ რუსეთის საშინაო საქმეა და პრინციპში ასედაც არის, მაგრამ მეორეს მხრივ ამ ცვლილებებმა შეიძლება სხვა ქვეყნების დღის წესრიგზედაც იმოქმედოს და რაც უკვე შეცვალეს თუ დაამატეს, უკვე იქონია გავლენა — რუსეთის დუმამ უკვე შეიტანა, კონსტიტუციურ ნორმად აქცია ის, რომ საერთაშორისო კანონებზე მაღლა რუსეთის კონსტიტუციაა. რაც უფრო მარტივად თუ ვიტყვით, იმას ნიშნავს, რომ დღეის ამას იქით რუსეთს შეუძლია, უკაცრავად და ფეხებზე დაიკიდოს სტრასბურგისა და ჰააგის სასამართლოების განჩინებანი...**

**როგორც ცნობილია, რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც კონსტიტუციური ნორმა კრძალავს არასრულწლოვნებში გეი-პროპაგანდას, რაც ავტომატურად ნიშნავს გეი-აღლუმების ჩატარების შეუძლებლობას.**

**ამ კონტექსში დასმულ კითხვაზე დასავლეთის ბევრ ქვეყანაში, აშშ-ს ჩათვლით, ტრადიციული დედა და მამა აღარ არსებობს საბუთებში, არამედ მშობელი 1 და მშობელი 2, ჩვეულებრივი ამბავია და ჩვენთანაც იგივე ხომ არ იქნებაო? — რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ჩვეულ სტილში მოკლედ და კატეგორიულად უპასუხა: სანამ მე ვარ რუსეთის პრეზიდენტი, მხოლოდ დედა და მამა იქნება!**

**ამ პასუხმა უკვე ააფორიაქა რიგი ლიბერასტული ქვეყნებისა, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სპეციალური უარყოფითი განცხადებაც გააკეთა. მაგრამ ეს სხვა თემაა და ამაზე სხვა დროს! მანამდე კი ილიასეული — „ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი, გამაგონე ჩემს მამულში!..“**

**დ. მ.**

# ალმშენებელი

## რემი ვაშაკიძე 85

**„ალმშენებელი“ მას რკინიგზელებმა შეარქვეს. ეს კი ის ხალხია, რომლებიც პიროვნების დამსახურებას ჰაიჰარად არ აფასებენ. ყოველ სიტყვას ასჯერ ზომავენ და ერთხელ ჭრიან. მათგან ასეთი შეფასება ბატონმა რემიმ, მართლაც, ღირსეულად დაიმსახურა, რამეთუ მათივე წიაღიდან წამოსულს, მათთან საერთო ენის გამოძებნა არასოდეს გასჭირვებია.**

1959 წელს, თბილისის რკინიგზის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, საქმიანობა თბილისის მეტროპოლიტენში დაიწყო. შემდეგ იყო რკინიგზის სამტრედიის სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციის სამუშაოთა მწარმოებელი, ამავე დისტანციის ხელმძღვანელი. ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსის მოადგილე და ამავე განყოფილების უფროსი, ა/კ რკინიგზის სამტრედიისა და შემდგომ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის უფროსი.

პირადი თვისებების გამო მასზე რანგით მაღალი თანამდებობის პირთა მიმართ უსიტყვოდ მორჩილი არასოდეს ყოფილა. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებსაც ყოველთვის მისეული პირდაპირობით, მიუკერძოებლად აფასებდა. ამიტომაც იყო, რომ ბევრჯერ რესპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელობასთან დაპირისპირება მოუხდა.

უსამართლობის პირველი „დარტყმა“ მაშინ იგემა, როცა მეორე კურსის სტუდენტი ჩანასახში მყოფ ეროვნულ მოძრაობაში ჩაება და 1956 წელს თბილისში განვითარებულ მოვლენათა ეპიცენტრში მოექცა, რისთვისაც ინსტიტუტიდან გარიცხეს და ერთი წლის შემდეგ აღადგინეს.

მეორედ, როცა რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსმა საქართველოში, რუსეთის „ნამესტნიკის“, ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის გენადი კოლბინის არასწორი დავალების შესრულებაზე კატეგორიული უარი განაცხადა, რისთვისაც სამსახურიდან გაათავისუფლეს და სამტრედიაში ერთ-ერთი ახლად შექმნილი სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელად დანიშნეს, რომელიც სულ მალე რაიონის მოწინავე ორგანიზაციად აქცია, მაგრამ რკინიგზის განყოფილებას, მისი, როგორც ხელმძღვანელის არყოფნა იმდენად დაეტყო, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, იძულებული გახდნენ თანამდებობაზე დაებრუნებინათ.

როცა ბატონ რემიზე, როგორც „ალმშენებელზე“ ვსაუბრობთ მხედველობაში მაქვს ის მშენებლობანი, რომელიც რკინიგზის სამტრედიის განყოფილების მიერ მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა. მათ შორის: ე. წ. ბაძგნარის ტერიტორიაზე რონოდების დამხარისხებელ სადგურ სამტრედია-2-ის მშენებლობა, სადაც ადგილობრივი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან დასავლეთ საქართველოში შემოსული ტვირთების დროულად დახარისხებითა და დამისამართებით ტვირთბრუნვა უფრო დაჩქარებული წესით მოხდებოდა, რაც ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითად აისახებოდა და რისთვისაც ახალი, 36 სხვადასხვა განშტოების ლიანდაგის დაგება გახდებოდა საჭირო.

პროექტის განხილვას რკინიგზის საკავშირო მინისტრის პირველი მოადგილე ვლადიმერ ინკო, დარგის ექსპერტები და მაშინდელი ა/კ რკინიგზის ხელმძღვანელობა ესწრებოდნენ. როგორც რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, მასში მეც ვმონაწილეობდი. კარგად მახსოვს მათი კმაყოფილი სახეები, როცა რემი სამსახურიდან გაათავისუფლეს. მშენებლობა შეჩერდა, რაც მისი სამსახურში დაბრუნების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა. ბატონი რემის ხელდასხმით სამტრედიაში, ახლად გაჭრილ გამარჯვების ქუჩაზე, რკინიგზელთათვის რამდენიმე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი აიგო, იქმნებოდა ასეთი ტემპით მშენებლობების გაგრძელების შემთხვევაში საცხოვრებელი ბინებით მათი სრულად დაკმაყოფილების შთაბეჭდილება.

აშენდა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ახალი სალოკომოტივო დეპო. ახლადაგებულ შენობებში განთავსდა რკინიგზის ელექტრომომარაგების მე-2 უბანი, კავშირგაბმულობისა და სალიანდაგო დისტანციები. რკინიგზის სამტრედიის ვაგზლის ორივე მხარეს გაშენდა ახალი სკვერები. სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ვაგზალს, ქალაქის ცენტრში აშენდა რკინიგზის განყოფილების ოთხსართულიანი ადმინისტრაციული სახლი. წარმოუდგენლად მცირე დროში, 8 თვეში, ექსპლუატაციაში შევიდა 12 ათას მაყურებელზე გათვლილი „ლოკომოტივის“ სტადიონი, საცურაო აუზი, რკინიგზელთა კლუბის ძველ ბაზაზე დაიგეგმა კულტურის სახლის მშენებლობა. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა რკინიგზის საავადმყოფო-პოლიკლინიკას.

სოფელ მელაურში აშენდა მესაქონლეობის უნიკალური კომპლექსი, რომელიც 3000 სულ მსხვილფეხა პირუტყვზე, 5000 სულ ღორზე და 100 000 ფრთა ფრინველზე იყო გათვლილი.

უპრიანი იქნება, აქვე ერთი ამბავი გავიხსენო.

რაისაბჭოს აღმასკომში რკინიგზის განყოფილებიდან წერილი მივიღეთ, რომლითაც ტვირთებისაგან გამოთავისუფლებული რონოდების გასარეცხად საჭირო ნაგებობის ასაგებად ათი ჰექტარი მიწის გამოყოფას ითხოვდნენ. რემი პირადად მესაუბრა და სამტრედიაში ასეთი ობიექტის არსებობის აუცილებლობაში დამარწმუნა. საკითხის დადებითად გადაწყვეტიდან ორ თვეში ვხედავ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე სათევზე, სატბორე მეურნეობა გაუშენებიათ, რითაც საკმაოდ გაბრაზებულ-განაწყენებული რემის სამსახურში ვეახლე. **„ჩემო ბორია, ჩვენი მთავარი მოვალეობა ხომ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვაა. რა თანამდებობაც უნდა გვქონდეს, ჩვენ ამაზე უკეთესს ვერაფერს გავაკეთებთ. მელაურში კომპლექსის აგებით იმის წინაპირობა შევქმენი, რომ რკინიგზელებს საქონლის, ღორისა და ფრინველის იაფფასიანი ხორცი მივაწოდო, იქვე იაფფასიანი თევზეულიც ხომ აუცილებელიაო“.** — მითხრა. რა მეთქმოდა, გაკეთებულს ხომ არ დავანგრევინებდი. ამით მის მიერ ჩადენილი „დანაშაულის“ თანამონაწილედ მაქცია.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ის ზოგჯერ მშენებლობის დამთავრებას პროექტის დამთავრებამდე ასწრებდა.

მკითხველის ყურადღებას მივიქცევ, რომ რკინიგზის სამტრედიის განყოფილება ტყიბულის, ქუთაისის, ჭიათურის, მახარაძის (ოზურგეთის), ბათუმისა და სოხუმის განშტოებებსაც მოიცავდა, სადაც, ისევე როგორც სამტრედიაში, მშენებლობათა ბუმი იდგა.

რემის პიროვნებისაგან შორს იყო სიტყვა „პოლიტიკური მმართველობა.“ მახსოვს, როცა პარტიის რაიკომის ბიუროს წევრად აირჩიეს, გულწრფელად იკითხა: პარტიის რაიკომში ყოველდღე უნდა გამოვცხადდეო? ბიუროს სხდომებსაც ხშირად არ ესწრებოდა, ბოლოს, როცა მოვიდოდა, უფრო სახალხო დამცველის ამპლუაში გვევლინებოდა.

დიდი ავტორიტეტის გამო ყოველთვის შეეძლო, ქვეყნის პარლამენტის წევრი გამხდარიყო, რისი სურვილიც არასოდეს გასჩენია. ეს ის დროა, როცა



ქვეყანაში ეროვნული მოძრაობის აღმავლობა იწყება. ე. წ. „არაფორმალების“ საქმიანობა სამტრედიაშიც მყარ ნიადაგს პოულობს, რომელთა მიერ რუსეთისთვის ეკონომიკური ზიანის (?!!) მიყენების მოტივით იკეტება რკინიგზის ცენტრალური მაგისტრალი. ოთხი დღის მანძილზე გზის გაგრძელების საშუალებას არ აძლევენ ერევან-მოსკოვისა და ბათუმი-მოსკოვის დანიშნულების სამგზავრო მატარებლებს, შეჩერდა ტვირთბრუნვა, რაზედაც სრული პასუხისმგებლობა, რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად, რკინიგზის ადგილობრივ ხელმძღვანელობასაც ეკისრება. ვაღიარებ, რომ ასეთ ვითარებაში ჩვენს შორის რემი უფრო სრულად და ორგანიზებულად წარმოჩნდა. მას თავისი გაწონასწორებული ქმედება წინ სასიკეთოდ დახვდა, როცა 1991 წლის დასაწყისში პირადად პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას გადაწყვეტილებით იგი რესპუბლიკის რკინიგზის დეპარტამენტის უფროსად დანიშნეს, რითაც, როგორც დარგის გამორჩეულ ხელმძღვანელს, საკუთარი ორგანიზატორული ნიჭისა და უნარის გამოვლენის ფართო ასპარეზი მიეცა, რაც, იმ დროს საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო, სრულიად გამოირიცხა.

მდგომარეობა უფრო დაძაბა ქვეყანაში წარმოებულმა სამოქალაქო დაპირისპირებამ, კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობამ და ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობის უგუნურებით აფხაზეთში წარმოებულმა შიდა დაპირისპირებამ. ჩვენი წერილის ადრესატიც იძულებულია, აფხაზეთიდან ქვეყნისთვის სასიცოცხლო ტვირთების შეუფერხებლად მოსაწოდებლად, დატაცებისაგან მათი დაცვის მიზნით, დივერსიული გზით მწყობრიდან გამოყვანილი ენგურისა და ტამიშის სარკინიგზო ხიდების დროულად აღდგენაზე გადაერთოს, რასაც იმდენად მოკლე დროში ახერხებს, რომ შევარდნაძე მადლობას არ იშურებს. როცა იმავე შევარდნაძემ ამ მიზნით აფხაზეთში საჯარისო ნაწილების, ტანკებისა და არტილერიის შეყვანა გადაწყვიტა, ბატონი რემი, საკითხის უმტკივნეულოდ მოსაგვარებლად, ქვეყნის ხელმძღვანელობისაგან მის დაქვემდებარებაში მყოფი რკინიგზის დაცვის სამსახურისათვის დამატებით ოცი ერთეული ავტომატის გამოყოფას ითხოვს და ტვირთების დაცვაზე პირად პასუხისმგებლობასაც იღებს, რაც არავინ შეისმინა და მივიღეთ ის, რომლის შედეგსაც ახლა ვიმკით.

როცა აფხაზეთში საომარი მოქმედება შეწყდა და დარგის განვითარების იმედი გაჩნდა, რემის ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთა მსტოვარნი ესტუმრნენ და რკინიგზის საქმიანობაში მათ მიერ შექმნილი სხვადასხვა უწყებათა ჩართვა და ტვირთების გადაზიდვის მათეული ტარიფები შესთავაზეს, სადაც მისი წილიც გათვალისწინებული იყო, რემი არ დათანხმდა და დაუპატიჟებელი სტუმრები უარით გაისტუმრა, რაც საბოლოოდ მისდამი ხელისუფლების დამოკიდებულებაში მკვეთრად აისახა.

1995 წელს თბილისში გამართულ აქტივის შეკრებაზე შევარდნაძემ რკინიგზის დეპარტამენტის საქმიანობა უარყოფითად შეაფასა, რაზეც რემიმ ტრიბუნიდან მწვავედ უპასუხა. **„ბატონო ედუარდ, თქვენეული სტილითა და მართვის მეთოდებით მარტო რკინიგზას კი არა, საქართველოსაც დაღუპავთ“.**

„თავხედობა“ ძვირად დაუჯდა. შეკრებიდან სამსახურში მიმავალი გზაში შეაჩერეს და ხელბორკილი დაადეს. ბრალდებებიც საკმაოდ შეუთითხნეს და თორმეტი წლით თავისუფლებაც აღუკვეთეს.

ესეც არ იკმარეს, ციხეში „ნასედკა“ მიუჩინეს, რომელიც მისგან, სრული თავისუფლების სანაცვლოდ, იმის „აღიარებას“ ითხოვდა, თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში საიდუმლოდ შეკრებილთ ქვეყნის უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე, ცეკას ყოფილი პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი და მხედრიონის „შეფი“ ჯაბა იოსელიანი, როგორ გეგმავდნენ ქვეყანაში ხელისუფლების დამხობას. როგორც თავად ამბობს, ამით მისგან სულისა და კაცობის გაყიდვას ითხოვდნენ, ამას სასიკვდილო განაჩენი რომ გამოეტანათ, მაინც არ დავთანხმდებოდიო.

როგორც მშენებელმა არც ციხეში მოისვენა. ციხის საავადმყოფოში მცირე მოცულობის ეკლესია ააგო და პატიმრები მართლმადიდებლობასა და ქრისტეს მცნებებს აზიარა.

სანთელ-საკმეველმა და მის მიერ ნაკეთებმა სიკეთემ თავისი სიტყვა მაინც თქვა, როცა კეთილი ადამიანების თანადგომით ციხიდან ოთხი წლის შემდეგ განთავისუფლდა.

დღეს 85 წლის ბატონი რემი თბილისში ცხოვრობს. სტუმრებს მის მიერ მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით, სუფთა გულით და მის მიერ დაწურული ღვინით მასპინძლობს. ღრმად მორწმუნეს ერთხელ სამეგობრო წრეში უადგილო კითხვა დაუსვეს: ღმერთმა ციხისგან რატომ არ დაგიფარაო. კითხვაზე ადრესატი პასუხის გასაცემად წამითაც არ დაფიქრებულა: **„პირიქით, ღმერთმა ჩემ ირგვლივ შექმნილ ვითარებას განმარიდა და სიცოცხლე შემინარჩუნა“.**

ცნობილი ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე თავის ერთ-ერთ წერილში ბატონ რემის რკინიგზის დეპარტამენტის ლეგენდარულ მმართველად მოიხსენიებს, რაზეც სრულად ვეთანხმები. მკითხველმა თავად განსაჯოს.

**ბორის ფოცხვერაშვილი**

# ლიონ ფოიხტვანგერი: მე ჩემი თვალით ვნახე იოსებ სტალინის დიდი სიმართლე!..

(პირველი გვერდიდან) – ოცი წლის წინანდელი გაზეთები მაქვს მხედველობაში. 1912 წელს ყველა დიდი ამერიკული გაზეთი პირველ გვერდებზე გაშლილი სათაურებით გამოვიდა: **„ებრაელებმა ომი გამოუცხადეს რუსეთს!“** დღეს ეს ყველასთვის აშკარა სიყალბეა, სადაც ჩვენ, კომუნისტებს, კლასობრივი ბრძოლა გვქონდა მხედველობაში, სიონისტებს წმინდა წყლის ეროვნულ ბრძოლად მიაჩნდათ, ანუ გენოციდად, როგორც უკვე გითხარით.

– თუ ღმერთი გწამთ, ყველა ებრაელს ერთ ტაფაში ნუ აქცევთ, – სთხოვა ფოიხტვანგერმა, – დიდმა ჟაბოტინსკიმ სწორი თქვა: **„ებრაელთ, როგორც რომ სუყოველ ხალხს მსოფლიოში, თავისი არამზადების ყოლის უფლება აქვთ“.**

– მერედა, რატომ არ უნდა გავასამართლოთ ეგ არამზადები? – ჰკითხა სტალინმა, – საერთაშორისო სამართალი ინდულგენციებს არ გასცემს ეროვნული ნიშნის მიხედვით.

ფოიხტვანგერი, ცოტა არ იყოს, შეიშმუშნა.

– თქვენი პროცესები დასავლეთში უკიდურესად არასახარბიელო შთაბეჭდილებას ახდენენ!

– მაგას შეგუებულნი ვართ, – სტალინს ულვაშებში ჩაეცინა. – დასავლეთში ისე იქცევიან, ვითომ არ იცოდნენ, რომ მაგ არამზადებს პირდაპირი კავშირი აქვთ ჰიტლერთან! თუ გნებავთ, აუცილებელ მასალებს მოგართმევენ და დარწმუნდებით, სადამდე დაეშვნენ. განა დანაშაული არ არის ჰიტლერის მშველელად წარმოდგენა?! ებრაელები მალე ირწმუნებთ, რასაც გეუბნებით.

– დარწმუნება არ მინდა, – თქვა ფოიხტვანგერმა.

ეს ვრცელი დიალოგი ამოვწერე ქართველი მკითხველისთვის, ალბათ, მეტ-ნაკლებად უცნობ 2010 წელს გამოცემულ **ნიკოლაი კუზმინის** რომან-ქრონიკიდან („შურისგება“), რომელიც საერთაშორისო სიონიზმის, კერძოდ, ტროცკიზმის წინააღმდეგ იოსებ სტალინის ბრძოლას ეძღვნება.

ფოიხტვანგერი საბჭოთა კავშირში ათი კვირა დარჩა. ერთი კვირა ის ოქტომბრის დარბაზში ფეხმოუცვლელად იჯდა.

მწერალი ყურებს არ უჯერებდა, რასაც დამნაშავენი ყვებოდნენ (სულ 17 კაცი). ის საბოლოოდ დარწმუნდა იოსებ სტალინის დიდ სიმართლეში.

30 იანვარს, გვიან ღამით, სასამართლომ განაჩენი გამოიტანა. 13 დამნაშავეს უმაღლესი ზომის სასჯელი მიესაჯა. რადეკს, სოკოლნიკოვს და არნოლდს ათ-ათი წელიწადი, სტროილოვს 8 წელიწადი.

მოსკოვიდან დაბრუნებულმა ლიონ ფოიხტვანგერმა სასწრაფოდ დაწერა წიგნი და **„მოსკოვი 1937“** დაარქვა. „მწერალი, – წერდა იგი წიგნის წინათქმაში, – **რომელმაც თავისი თვალით იხილა დიდი სიმართლე, უარს ვერ იტყვის ამ სიმართლის სახალხოდ თქმაზე. თუნდაც რომ ბევრისთვის ეს დიდად უსიამოვნო იყვეს“.**

როგორც ჩანს, ფოიხტვანგერმა წიგნის გარდა, აგრეთვე დაწერა, უფრო სწორად, სტალინთან დაწყებული დიალოგი აღადგინა, მაგრამ რაღაცა მოსაზრებით წიგნში პირვანდელი სახით აღარ შეუტანია.

დღეს სწორედ იოსებ სტალინისა და ლიონ ფოიხტვანგერის ამ მეტ-ნაკლებად უცნობ ჩანაწერს ვთავაზობთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გემოვნებიან მკითხველს, რომელსაც, საბედნიეროდ, გულისყური არ განელებია ჩვენი უახლოესი ისტორიის მიმართ.

* * *

**ლიონ ფოიხტვანგერის ჩანაწერიდან:**

**მოსკოვში უკიდურესად მძიმე პოლიტიკური ცხოვრება დუღდა, ჩემი მიზანი იყო, რომ მთელი სიცხადით გამერკვია, რაც ხდებოდა იქ სინამდვილეში. მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის დამენახვებინა იოსებ სტალინის დიდი ტყუილი თუ დიდი სიმართლე. გამგზავრებამდე კიდევ ერთხელ გადავიკითხე ანრი ბარბიუსის „სტალინი“, და ასევე გრიგოლ რობაქიძის „სტალინი“, თითქმის იმავე წლებში გამოცემული გერმანიაში, ჩემი აზრით, უთუოდ ჰიტლერის საამებლად დაწერილი. რასაკვირველია, ბარბიუსი მიკერძოებულია როგორც ანტიფაშისტი ფრანგი, მიკერძოებულია აგრეთვე ქართველი გრიგოლ რობაქიძეც, მაგრამ ბარბიუსი ცდილობს მიუკერძოებელი დარჩეს თავის მიკერძოებულობაში და ისე მიუდგეს სტალინს, როგორც სრულიად ახალი სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების მშენებელს, გრიგოლ რობაქიძე კი, შუმი ანტისტალინელი და ანტიკომუნისტი, ბოლომდე მიკერძოებულია თავისი თანამემამულის მიმართ, რაც ჩემთვის, გერმანულენოვანი ებრაელი მწერლისთვის, ცოტა არ იყოს, უცნაური და უხერხულობასთან ერთად გაუგებარიც კია.**

**ამ ორი ძირფესვიანად ერთმანეთის საპირისპირო წიგნის გარდა, ბუნებრივია, სხვა ლიტერატურასაც გავეცანი და ერთგვარად „შეიარაღებული“ ჩავედი მოსკოვს დიდად გახმაურებულ ანტიტროცკისტულ პროცესებზე დასასწრებლად, რაც აუცილებელი იყო სიმართლის გასარკვევად და დასადგენად. რა დასამალია, რომ ჩემს ყურადღებას იქცევდა განსასჯელთა სკამებზე მსხდომთა ეროვნულობაც, ისინი თითქმის ყველანი ებრაელები იყვნენ. მოსკოვიდან უცხოეთში გადაცემულ ცნობებში სწორედ ამ ანტისტალინელთა ებრაელობა იყო ხაზგასმული, რა თვითონ სტალინის ანტისემიტიზმში დადანაშაულება ნიშნავდა, ეს კი დიდად დამაზიანებელი იყო ამ ადამიანისთვის.**

არცთუ დიდი ხნის წინათ მოსკოვში გამოვიდა ჟურნალისტ **ანატოლი გუსაევის** წიგნი **(„ასე იტყოდა სტალინი. საუბრები ბელადთან“)**, სადაც ავტორი ზემოხსენებულ ფოიხტვანგერთან საუბარსაც იშველიებს, მართალია, ნაწილობრივ, მაგრამ შეხვედრის სრულ სურათს მაინც აღადგენს. როგორც ჩანს, მან უფრო ადრე მიაგნო ამ საუბარს, რაც ფოიხტვანგერს თავის ცნობილ წიგნში („მოსკოვი, 1937“) არ შეუტანია.

ალბათ, ჩვენი გემოვნებიანი და ისტორიული სიმართლის მოყვარული მკითხველისთვის ურიგო არ იქნება ამ ერთგვარად უცნობი თუ მეტ-ნაკლებად ცნობილი საუბრის „აღმოჩენა“. საუბარი შედგა 1937 წლის 8 იანვარს.

* * *

**ფოიხტვანგერი:** – დიდად მადლობელი დაგრჩებით, თუ წვრილად განმარტავთ მწერლის დანიშნულებას. ვიცი, რომ მწერლებს სულის ინჟინრები უწოდეთ.

**სტალინი:** – თუ მწერალი ხალხის ძირითად ჭირ-ვარამს სწვდება, შეიძლება ძალიან მნიშვნელოვნად წაადგეს საზოგადოების განვითარებას. ის საზოგადოების მოწინავე ფენათა შფოთიან ვარაუდებს განაზოგადებს და ხალხის ინსტინქტურ მოქმედებას შეგნებად აქცევს.



მწერალი აყალიბებს ეპოქის საზოგადოებრივ აზრს. ის საზოგადოების მოწინავე ძალებს თავიანთი ამოცანების შეცნობაშიც ეხმარება და მიზნისკენ შეუცდენელ სწრაფვაშიც. ერთი სიტყვით, მწერალს შეუძლია საზოგადოების კარგი სამსახურებრივი ელემენტი იყვეს და ამავე დროს, ამ საზოგადოების მოწინავე სწრაფვას წინ მიუძღოდეს. მაგრამ არის მწერალთა სხვა ჯგუფიც, რომელსაც ახალი ხანის სიოს ბერვა არ ესმის, ყოველსავე მოწინავეს უტევს თავის ნაწარმოებებში და საზოგადოების რეაქციულ ძალებს უწევს სამსახურს. ამგვარ მწერალთა როლიც ნაკლებმნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ, ისტორიის ბალასტის თვალსაზრისით, გვარიანად ცუდია. არის მწერალთა მესამე ჯგუფიც, რომელიც მიუკერძოებლობის ყალბად გაგებული დროშის ქვეშ ორ სკამს შუა ფაფხურობს, არ სურს, რომ ან საზოგადოების მოწინავე ძალებს მიემხროს, ან რეაქციულს. მწერალთა ამდაგვარ ჯგუფს ორსავე მხრიდან ესვრიან: ცალკე მოწინავე და ცალკე რეაქციული ძალები. ეს ჯგუფი ჩვეულებრივ დიდ როლს არ თამაშობს საზოგადოების განვითარების ისტორიაში, ხალხის განვითარების ისტორიაში და ისტორია შარშანდელი თოვლივით მალევე ივიწყებს ამ ჯგუფის მწერალთ.

**ფოიხტვანგერი:** – იქნებ განმარტოთ, როგორ გესმით განსხვავება მეცნიერი მწერლისა და იმ მწერალ-მხატვრის მოწოდებას შორის, რომელიც თავის მსოფლშეგრძნებასა და თავის თავს გადმოსცემს.

**სტალინი:** – მეცნიერი მწერლები ჩვეულებრივ ცნებებით მოქმედებენ, ბელეტრისტი მწერლები კი სახეებით უფრო ნიშანდობლივ, მხატვრული სურათებით ასახავენ იმას, რაც აგულისყურებთ. მეცნიერი მწერლები რჩეულთათვის წერენ, უფრო დახელოვნებულთათვის, მხატვრები კი უშუალოდ ხალხისთვის. ჩემი გაგებით, ეგრეთ წოდებულ მეცნიერ მწერალთა მოქმედებაში მეტი ანგარიშიანობის ელემენტია. მწერალი-მხატვრები ბევრად უფრო უშუალონი არიან, რომელთა მოღვაწეობაშიც ნაკლები ანგარიშიანობაა.

**ფოიხტვანგერი:** – რას უნდა ნიშნავდეს ინტელიგენციის თქვენეული განსაზღვრება კლასთაშორის ფენად სსრ კავშირის კონსტიტუციაზე წარმოთქმულ მოხსენებაში. ზოგიერთნი ფიქრობენ, რომ ინტელიგენცია არც ერთ კლასთან არ არის დაკავშირებული, ნაკლები ცრურწმენები ახასიათებს, განსჯის მეტი თავისუფლება აქვს, მაგრამ სამაგიეროდ, უფლებებში მოიკოჭლებს. როგორც **გოეთე** იტყოდა, **მოქმედი თავისუფალი არ არის, თავისუფალია მხოლოდ მომზერალი.**

**სტალინი:** – მე ინტელიგენციის ჩვეულებრივი მარქსისტული გაგება განვმარტე. არცრა ახალი არა მითქვამს რა – კლასი ადამიანთა ის საზოგადოებრივი ჯგუფია, რომელსაც განსაზღვრული მტკიცე, მუდმივი პოზიცია უჭირავს წარმოების პროცესში. მუშათა კლასს, მართალია, არა აქვს წარმოების საშუალებანი, მაგრამ წარმოებით ყველაფერს ის აწარმოებს. კაპიტალისტები კაპიტალს ფლობენ, კაპიტალისტურ წყობაში უიმათოდ წარმოება არ გამოდის. მემამულეები წარმოების მნიშვნელოვან საშუალებას – მიწებს ფლობენ, გლეხები კი მცირე მიწის ნაგლეჯებს ფლობენ, იჯარით იღებენ, მაგრამ სოფლის მეურნეობაში განსაზღვრული პოზიცია უჭირავთ. ინტელიგენცია მომსახურე ელემენტია, საზოგადოებრივი კლასი არ არის. ის თავად არცრას არ აწარმოებს, წარმოების პროცესში დამოუკიდებელი ადგილი არ უკავია. ინტელიგენცია ფაბრიკებსა და ქარხნებშია – კაპიტალისტებს ემსახურება. ინტელიგენცია არის მსხვილ მამულებში და ემსახურება მიწათმფლობელთ. როგორც კი ინტელიგენცია ეშმაკობას იწყებს, ეგრევე სხვებით ცვლიან. არის ინტელიგენციის ისეთი ჯგუფი, რომელიც დაკავშირებული არ არის წარმოებასთან, როგორც, მაგალითად, ლიტერატორები, კულტურის მუშაკები. ამათ თავი „დედამიწის მარილად“ წარმოუდგენიათ, რომელიც ვითომ საზოგადოებრივი კლასების მეთაური ძალაა. მაგრამ ამისგან არცრა ღირებული არა გამოდის რა. იყო რუსეთში წინა საუკუნის 70-იან წლებში ინტელიგენციის ჯგუფი, რომელსაც ისტორიისთვის ძალდატანება უნდოდა და ანგარიშს არ უწევდა იმ ამბავს, რომ რესპუბლიკის პირობები ჯერ მომწიფებული არ იყო, ცდილობდა საზოგადოების ჩათრევას რესპუბლიკისთვის ბრძოლაში. არცრა აქედან არ გამოვიდა, ეს ჯგუფი განადგურდა – აი, ესეც თქვენი ინტელიგენციის დამოუკიდებელი ძალა!

ინტელიგენციის მეორე ჯგუფს კაპიტალიზმის გვერდის ავლით უნდოდა რუსული სოფლის თემიდან პირდაპირ სოციალიზმის განვითარება. არც აქედან გამოვიდა რამე, ეს ჯგუფიც განადგურდა. ასეთი ბევრი მაგალითის მოვარგება შეიძლება გერმანიის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების ისტორიიდან.

როცა ინტელიგენცია დამოუკიდებელ მიზნებს ისახავს, ანგარიშს არ უწევს რა საზოგადოების მიზნებს, ცდილობს როგორმე დამოუკიდებელი როლის შესრულებას – ყოველთვის მარცხდება. ეგრევე უტოპისტად გადაგვარდება. ცნობილია, რა გესლიანად დასცინოდა მარქსი უტოპისტებს.

**ფოიხტვანგერი:** – თუ სწორად გაგიგეთ, მიგაჩნიათ, რომ მწერალი-მხატვარი უფრო ინსტინქტს მიმართავს მკითხველისას და არა გონებას.

მაშინ გამოდის, რომ მწერალი-მხატვარი უფრო რეაქციულია, ვიდრე მწერალი-მეცნიერი, ვინაიდან ინსტინქტი უფრო რეაქციულია გონებაზე. როგორც ცნობილია, პლატონს უნდოდა მწერალთა გაყრა თავისი იდეალური სახელმწიფოდან.

**სტალინი:** – პლატონს მონათმფლობელური ფსიქოლოგია ჰქონდა. მონათმფლობელთ სჭირდებოდათ მწერლები, მაგრამ მონებად აქცევდნენ იმათ, ანდა ქვეყნიდან აძევებდნენ, როცა მწერლები კარგად ვერ ემსახურებოდნენ მონათმფლობელურ წყობას.

რაც შეეხება ახალ, საბჭოთა საზოგადოებას, მწერლის როლი აქ უზარმაზარია. მწერალი მით უფრო ფასობს, რაც უფრო უშუალოდ, ყოველგვარი რეფლექსის მოუშველიებლად ასახავს ხალხის განწყობას.

**ფოიხტვანგერი:** – რა საზღვრებში შეიძლება საბჭოთა ლიტერატურაში კრიტიკა?

**სტალინი:** – უნდა განვასხვავებდეთ საქმიან კრიტიკას იმ კრიტიკისგან, რომლის მიზანიც საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაა.

საქმიან კრიტიკას, რომელიც ნაკლოვანებებს ამხელს აღმოფხვრის მიზნით, მივესალმებით. მაგრამ ვინც გვებრძვის, ვერ თანავუგრძნობთ. რა ვქნა, ამ მხრივ მართლაც ცოდვილნი ვართ.

**ფოიხტვანგერი:** – ცოტა არ იყოს, რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი. მე არა ვფიქრობ, რომ მწერალი აუცილებლად რეაქციონერი უნდა იყვეს, მაგრამ ვინაიდან და რადგანაც ინსტინქტი ჩამორჩება, თითქოს კოჭლობით მისდევს გონებას, მწერალი თავისდა უნებურად შეიძლება, რომ გარეაქციონერდეს. მაგალითად, გორკის ქურდები და მკვლელები ხან თანალმობას იწვევენ. ჩემს ნაწარმოებებში არის ჩამორჩენილ ინსტინქტთა ესა თუ ის სურათი. იქნებ ამიტომაც იკითხება დიდი გულისყურით. როგორც მგონია, ადრე უფრო ბევრი ლიტერატურული ნაწარმოები იყო, საბჭოთა ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს რომ აკრიტიკებდა. რა არის ამის მიზეზი?

**სტალინი:** – თქვენს ნაწარმოებებს დიდი გულისყურით კითხულობენ და ჩვენს ქვეყანაშიც კარგად იმიტომ კი არ ხვდებიან, რომ იქ ჩამორჩენილ ელემენტებს ნახულობენ, არამედ იმიტომ, რომ იქ სწორად არის ასახული სინამდვილე. გინდოდათ თუ არა, რომ გერმანიის რევოლუციური განვითარებისთვის გებიძგებინათ, თქვენდა უნებურად მკიხთველს დაანახვეთ გერმანიის რევოლუციური პერსპექტივები. თქვენს წიგნებს რომ კითხულობს, მკითხველი ეგრევე ხვდება, რომ გერმანიაში ასე ცხოვრება აღარ შეიძლება.

იდეოლოგია ყოველთვის ცოტათი ჩამორჩება ნამდვილ განვითარებას. აკი ჰეგელიც ამბობდა, **მინერვას ბუ ღამით გამოფრინდება ხოლმეო.**

გვქონდა თუ არა ადრე უფრო მეტი კრიტიკული ნაწარმოებები – შესაძლებელია. მე არ ჩავკირკიტებივარ რუსული ლიტერატურის განვითარების ორ დროს.

1933 წლამდე ცოტა მწერალს თუ სჯეროდა, რომ გლეხური საკითხის გადაწყვეტა შეიძლებოდა, თუ არა კოლმეურნეობათა საფუძველზე.ბუნებრივია, მაშინ კრიტიკა მეტი იყო.

**ფოიხტვანგერი:** – სულ 4-5 კვირაა, რაც აქ ვარ. ჩემი ერთ-ერთი პირველი შთაბეჭდილება ის არის, რომ თქვენ მიმართ სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვის ზოგიერთი ფორმა გაზვიადებული და უგემოვნო მეჩვენება. არადა, როგორც გატყობთ, ფრიად უბრალო და მოკრძალებული ადამიანი ბრძანდებით. ეს ფორმები მძიმე ტვირთად ხომ არ გაწევთ?

**სტალინი:** – სავსებით გეთანხმებით, უსიამოვნოა, როცა ზომა-წონა არ იციან. ასობით მილოცვის გამო თითო-ოროლას თუ ვუპასუხებ, დაბეჭდვის ნებას არ ვაძლევ. რასაკვირველია, თუკი გავიგე. ხშირ შემთხვევაში ძალიან დიდ უსიამოვნებას მგვრის.

**ფოიხტვანგერი:** – როგორც სსრ კავშირის თანამგრძნობელი, ვხედავ და ვგრძნობ, რომ თქვენ მიმართ გამოხატული სიყვარული და პატივისცემა ალალი და გულწრფელია. სწორედ იმიტომ, რომ აგრერიგად უყვარხართ და პატივს მოგაგებენ, ხომ შეგიძლიათ, ბოლოს და ბოლოს, უბრძანოთ, რომ შეწყვიტონ ამ ფორმით თავიანთი გრძნობების გამოხატვა. ეს ძალიან აღიზიანებს ზოგიერთ თქვენს მეგობარს საზღვარგარეთ.

**სტალინი:** – რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ არაფერი გამოდის. როცა ვეუბნები, უხერხულია, ლამაზი არ არის-მეთქი, იმათ ჰგონიათ, ყალბი მოკრძალებით ვეუბნები.

გადაწყვიტეს, რომ ჩემი დაბადების 55 წლისთავი ზეიმით აღენიშნათ, რაც ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ავკრძალე. უამრავი საჩივარი მოვიდა, რატომ არ გინდათ, რომ ჩვენი გრძნობები გამოვხატოთო. ძალით ვერაფერს გავხდები, აზრის გამოხატვის თავისუფლებაა. ეს ერთგვარი უკულტურობის გამოხატულებაც არის. თანდათანობით მობეზრდებათ და შეწყვეტენ. საერთო კულტურის მხრივ ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ ჩამორჩება, ამიტომაც სხვაგვარად ვერ გამოხატავს თავის პატივისცემას.



**ფოიხტვანგერი:** – მე მუშათა და გლეხთა მხრივ პატივისცემის გამოხატვაზე არ ვლაპარაკობ, სხვა შემთხვევები მაქვს მხედველობაში. სხვადასხვა ადგილას გამოდგმული თქვენი ბიუსტები ულამაზო და უხეიროდ შესრულებულია.

**სტალინი:** – მართალი ბრძანდებით. მოგეხსენებათ, ბიუროკრატები რა ხალხიც არის, მათზე ვერ იტყვი, რომ გემოვნება არა აქვთ. არა, იმათ შიში აქვთ, სტალინის ბიუსტი თუ არ გამოვდგით, ვაითუ რამე უსიამოვნებას გადავეყაროთო. ეს კარიერიზმის „თვითდაცვის" თავისებური მექანიზმია. ბიუროკრატების ამბავი ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ.

**ფოიხტვანგერი:** – ვშიშობ, რომ თქვენ მიერ გამოყენებული სიტყვა „დემოკრატია" მაინცდამაინც მარჯვე ვერ არის, თუმცა, სრულად მესმის თქვენი ახალი კონსტიტუციის აზრი და კიდეც მივესალმები. დასავლეთში სიტყვა „დემოკრატია" მთელი 150 წლის მანძილზე ესმით, როგორც ფორმალური დემოკრატია. გაუგებრობას ხომ არ ვიღებთ იმის გამო, რომ თქვენ იყენებთ სიტყვა „დემოკრატიას", რასაც დასავლეთში უკვე მიეჩვივნენ და გარკვეულ აზრს ანიჭებენ, რაიმე სხვა სიტყვის მოგონება ხომ არ აჯობებდა?

**სტალინი:** – ჩვენ უბრალოდ ბურჟუაზიული ქვეყნებიდან გადმოტანილი დემოკრატია როდი გვაქვს. ჩვენი დემოკრატია უჩვეულო დემოკრატიაა, ჩვენ ამ სიტყვას ვუმატებთ „სოციალისტურს" და გამოდის „სოციალისტური დემოკრატია". ეს უკვე სხვა საქმეა, თუ არა ეს სიტყვა, აზდაუბდა გამოვიდოდა. ამასთანავე, სიტყვა „დემოკრატიის" დაუარება იმიტომაც არ გვინდა, რომ ჩვენ, გარკვეული აზრით, ევროპული დემოკრატიის მოწაფენი ვართ და ისეთი გამგრძელებელნი, რომელთაც ფორმალური დემოკრატიის უკმარობა და სიმახინჯე დავამტკიცეთ, ეს ფორმალური დემოკრატია სოციალისტურ დემოკრატიად ვაქციეთ. ჩვენ არამც და არამც არ გვინდა ამ ისტორიული ფაქტის დამალვა.

**ფოიხტვანგერი:** – მე როგორც ლიტერატორი, ეგება მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ სიტყვას და ამ სიტყვასთან დაკავშირებულ ასოციაციებს. ვფიქრობ, ბურჟუაზიულ კრიტიკას, რომელიც სიტყვა „დემოკრატიის" არასწორ გაგებას ეფუძნება და ზიანი მოაქვს, საბჭოთა კავშირმა იმდენი რამ ახალი შექმნა, რატომ არ შეიძლება, რომ აქაც ახალი სიტყვა შეიქმნას?

**სტალინი:** – მართალი არ ბრძანდებით, სიტყვა „დემოკრატიის" კარგ მხარეთა შენარჩუნება ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ბურჟუაზიულ კრიტიკასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები. მოიმარჯვეთ ერთიანი ფრონტის მოძრაობა საფრანგეთში, ესპანეთში. ნაირნაირი ფენები გაერთიანდნენ დემოკრატიის უბადრუკი ნარჩენების დასაცავად. ერთიანი ფრონტი ფაშიზმის წინააღმდეგია – არის დემოკრატიისთვის ბრძოლის ფრონტიც. მუშები, გლეხები, ინტელიგენცია გვეკითხებიან: თქვენ, საბჭოელნი, როგორ უყურებთ ჩვენს ბრძოლას დემოკრატიისთვის, სწორად ვიბრძვით თუ არაო? ჩვენ ვეუბნებით: **„სწორია, იბრძოლეთ დემოკრატიისთვის, რაც დემოკრატიის უმდაბლესი საფეხურია. ჩვენ მხარს გიჭერთ, შევქმენით რა დემოკრატიის უმაღლესი საფეხური – სოციალისტური დემოკრატია, ჩვენ – ძველ დემოკრატთა მემკვიდრენი – ფრანგ რევოლუციონერთა, გერმანელ რევოლუციონერთა მემკვიდრენი, ერთ ადგილას კი არ გავჩერებულვართ, პირიქით, დემოკრატია სრულიად ახალ, უმაღლეს საფეხურზე ავიყვანეთ".**

რაც შეეხება კრიტიკოსთ, იმათ უნდა ვუთხრათ, დემოკრატია სულაც ლიტერატორთა ერთი პატარა ჯგუფისთვის კი არ მოუგონიათ, არამედ იმისთვის არის შექმნილი, რათა ახალ კლასს, ანუ ბურჟუაზიას, მიეცეს ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება.

დემოკრატიზმი მუშათა კლასს იმის საშუალებას უქმნის, რომ ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის ნაირნაირი უფლებები გამოიყენოს.

მე ვიცნობ ამ კრიტიკოსთ. ზოგიერთი მათგანი გვეკითხება: რატომ ნებადართული არ არის ჩვენში ესა თუ ის ჯგუფი, ანდა, როგორც ისინი ამბობენ, ტროცკისტთა პარტია. თუ დართავთ ნებას ტროცკისტთა პარტიას, მაშასადამე, დემოკრატია გქონიათ, თუ არ დართავთ, მაშასადამე დემოკრატია არა გაქვთო. მერედა, რა არის ეს ტროცკისტთა პარტია– როგორც გამოჩნდა, დიდი ხანია, რაც ეს ვიცით, – ესენი არიან მსტოვრები, ჯაშუშები, რომლებიც იაპონური და გერმანული ფაშიზმის აგენტებთან ერთად აფეთქებენ მაღაროებს, ხიდებს, მატარებლებს. ომის შემთხვევაში კი ყველა ღონეს იხმარენ ჩვენს დასამარცხებლად.

არც ერთი ბურჟუაზიული სახელმწიფო – ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი – ფარდას არა ხდიან უცხო ჯაშუშებსა და მსტოვრებს. მაშ, აბა, ჩვენ რატომღა გვირჩევენ, ნუ კრძალავთო. ჩვენ ასეთი „დემოკრატიის" წინააღმდეგნი ვართ.

**ფოიხტვანგერი:** – სწორედ იმიტომაც, რახან დემოკრატია დასავლეთში აგრერიგად უნამუსოდ „იქცევა", ცუდი სუნი უდის, უარი უნდა თქვათ ამ სიტყვაზე.

**სტალინი:** – მაშ, რაღატომ იბრძვის სახალხო ფრონტი დემოკრატიისთვის? საფრანგეთსა და ესპანეთში – სახალხო ფრონტის მთავრობა – ადამიანები იბრძვიან, სისხლსა ღვრიან სულაც არა ილუზიისთვის, მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ ჰქონდეთ პარლამენტი, გაფიცვათა უფლება, ბეჭდვითი სიტყვის უფლება, მუშათა კავშირების უფლება.

ვითომ რამე სხვაობაა საფრანგეთსა და გერმანიას შორის?.. რასაკვირველია, კაშენი – პარლამენტში, ტელმანი – საკონცენტრაციო ბანაკში, საფრანგეთში მუშებს გაფიცვა შეუძლიათ, გერმანიაში – არა.

**ფოიხტვანგერი:** – ახლა სამი ცნებაა – ფაშიზმი, დემოკრატიზმი, სოციალიზმი. სოციალიზმსა და დემოკრატიას შორის სხვაობაა.

**სტალინი:** – ჩვენ კუნძულზე არა ვართ. ჩვენ, რუსი მარქსისტები, დემოკრატიზმს ვსწავლობდით დასავლეთის სოციალისტებისგან – მარქსისგან, ენგელსისგან, ჟორესისგან, გედისგან, ბაბელისგან. ახალ სიტყვას თუ შევქმნიდით – მეტ საკვებს მივცემდით კრიტიკოსთ სალაპარაკოდ – რუსები დემოკრატიას უარყოფენო.

**ფოიხტვანგერი:** – ზინოვიევისა და სხვათა პროცესზე ოქმი გამოიცა. ეს ანგარიშია, ძირითადად შედგენილია მსჯავრდებულთა აღიარებაზე. უეჭველად იქნება კიდევ სხვა მასალები ამ პროცესზე. არ შეიძლება, რომ ისინიც გამოსცეთ?

**სტალინი:** – რა მასალები?

**ფოიხტვანგერი:** – წინასწარი გამოძიების შედეგები. ყველაფერი, რაც აღიარების გარდა, მაგათ დანაშაულს ადასტურებს.

**სტალინი:** – იურისტებს შორის ორი სკოლაა, ერთნი მიიჩნევენ, რომ განსასჯელთა აღიარება ბევრად უფრო არსებითი დადასტურებაა. ანგლოსაქსური იურიდიული სკოლის აზრით, არსებითი ელემენტები – დანა, რევოლვერი – არ არის არსებითი ელემენტები – საკმარისი არ არის დანაშაულის ჩამდენთა დასადგენად. განსასჯელთა აღიარებას ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს.

არის კიდევ გერმანული სკოლა, რომელიც ნივთიერ მტკიცებულებებს ანიჭებს უპირატესობას, ოღონდ ჯეროვნად არ აფასებს ბრალდებულთა აღიარებას. გაუგებარია, რატომ არის, რომ ზოგიერთი ადამიანი ან ლიტერატორი საზღვარგარეთ, არ კმაყოფილდებიან ბრალდებულთა აღიარებით. კიროვი მოკლულია, რაც უტყუარი ფაქტია. იქ არ ყოფილა არც ზინოვიევი, არც კამენევი და არც ტროცკი, მაგრამ ბევრმა თითი იმათკენ გაიშვირა, როგორც ამ ავი საქმის შთამაგონებლებისკენ. ესენი გამოცდილი კონსპირატორები არიან, ასეთ საქმეებში კვალს და ფაქტებს არ ტოვებენ. თავიანთივე ხალხი დაადგა პირზე და იძულებულნი გახდნენ, დანაშაული ეღიარებინათ.

შარშან სადგურ შუმიხაში, ციმბირში, სამხედრო მატარებელი გადააგდეს რკინიგზიდან, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში მიდიოდა. როგორც სასამართლოზე ითქვა, მეისრემ არასწორად გადაიყვანა ისარი და მატარებელი სხვა გზაზე წარმართა. დაიღუპა ათობით წითელარმიელი, მეისრემ – ახალგაზრდა გოგომ – დანაშაული არ აღიარა, რა ჩემი ბრალია, დამავალესო.

ამბობენ, ბრალდებულთ გათავისუფლებას პირდებიან და ისინიც ჩვენებებს იმიტომ იძლევიანო. მალე პიატაკოვის პროცესიც იქნება, ბევრ რასმე საგულისხმოს შეიტყობთ, რასაკვირველია, თუ იმ პროცესს დაესწრებით.

**ფოიხტვანგერი:** – ახლახან პიესა დავწერე ინდოეთის ცხოვრებიდან, რომელშიც ავსახე, თუ როგორ მოექცა ლორდი გასტინგსი თავის მოწინააღმდეგეს, რომელიც ნამდვილად აპირებდა სახელმწიფო გადატრიალებას, მაგრამ მიწერით სულ სხვა დანაშაული მიაწერეს.

კრიტიკოსნი საზღვარგარეთ (მე არა) ამბობენ, არ გვესმის ბრალდებულთა ფსიქოლოგია, რატომ არ იცავენ თავიანთ შეხედულებებს, ეგრევე რატომ გადადიან აღიარებაზეო.

**სტალინი:** – უნდა ითქვას, რომ ყველანი – ზინოვიევიც, კამენევიც, ტროცკიც, რადეკიც, სმირნოვიც და სხვებიც, ლენინს მოსვენებას არ აძლევდნენ, დაუძინებელი მტრები იყვნენ, ებრძოდნენ. ახლა, ლენინის სიკვდილის შემდეგ, თავი ლენინელ ბოლშევიკებად მოაქვთ.

იცით, რატომ აღიარებენ თავიანთ დანაშაულს? იმიტომ რომ თავიანთი პოზიციის სიმართლეში გული გაუტყდათ, წარმატებებს ხედავენ ყველგან, უნდათ, რომ სიკვდილის ან განაჩენის წინ ხალხს სიმართლე უთხრან. მიაჩნიათ, რომ მთელ ევროპას ფაშიზმი მოიცავს და ჩვენ, საბჭოელნი, დავიღუპებით. იმისთვის, რათა ტროცკის მომხრენი ჩვენთან ერთად არ დაიღუპონ, კავშირი უნდა გააბან ყოვლის უფრო ძლიერ ფაშისტურ სახელმწიფოებთან, რომ თავიანთი კადრები და ის ხელისუფლება გადაარჩინონ, რომელსაც ფაშისტურ სახელმწიფოთა თანხმობით მიიღებენ.

ახლა, როცა ყოველივე აწონ-დაწონეს, ყოველსავე ამას არასწორად მიიჩნევენ და უნდათ განაჩენის წინ ყველაფერი თქვან, გაამჟღავნონ.

**ფოიხტვანგერი:** – თუ მართლა ეგრეთი იდიოტური კონცეფციები აქვთ, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ბევრად უპრიანი იქნება მაგათი საგიჟეთში ჩასმა, ვიდრე ბრალდებულთა სკამებზე დასხმა.

**სტალინი:** – არა, სულაც ცოტანი არ არიან ისეთი ადამიანები, ვინც ამბობს, ფაშიზმი ყველაფერს მოიცავსო. საჭიროა ამ ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლა. ისინი ყოველთვის პანიკიორები იყვნენ, ყველაფრის შიში ჰქონდათ, როცა ოქტომბერში ძალაუფლება ჩავიგდეთ, ბრესტის დროსაც, როცა კოლექტივიზაციას დავადგით თავი. ახლა ფაშიზმის შიში გაუჩნდათ.

**ფოიხტვანგერი:** – ძველ პროცესს უნდა დავუბრუნდე და ვთქვა, რომ ზოგ-ზოგთ აკვირვებთ, არა ერთმა, ორმა, სამმა და ოთხმა ბრალდებულმა, არამედ ყველამ ერთხმად აღიარა დანაშაული.

**სტალინი:** – ნიშანდობლივ, როგორ ხდება, არა? აი, მაგალითად, ზინოვიევს ბრალსა სდებენ, ის უარყოფს, ეგრევე პირზე აყენებენ დაჭერილ და მხილებულ თავისივე მხარდამჭერთ. ერთი, მეორე, მესამე – ყველანი ამხილებენ. სხვა გზა არა რჩება, ისიც იძულებულია, რომ სიმართლე აღიაროს.

**ფოიხტვანგერი:** – მე მჯერა, რომ მაგათ ნამდვილად უნდოდათ სახელმწიფო გადატრიალება. მაგრამ ნამეტან ბევრს ამტკიცებენ. უფრო დამარწმუნებელი არ იქნებოდა, რომ ბევრად ცოტას ემტკიცებინათ.

**სტალინი:** – ეგენი ჩვეულებრივი დამნაშავენი არ არიან. ცოტა სინდისი, ასე თუ ისე, მაინც აქვთ შერჩენილი. აი, აიღეთ რადეკი, მაგისი გვჯეროდა, მაგას ჯერ კიდევ კარგა ხნის წინათ დაადეს ხელი ზინოვიევმა და კამენევმა. მაგრამ ხელი მაინც არ ვახლეთ. სხვა ჩვენებები არა გვქონდა, რაც შეეხება თვითონ ზინოვიევსა და კამენევს, შეიძლებოდა იმის ფიქრი, რომ განგებ ადებდნენ ხელს ადამიანებს. თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ ახალმა ადამიანებმა, ზოგმა დაჭერილმა, ზოგმაც ვინც თავისით მისცა გამოძიებას ჩვენება, ნათელი გახადეს რადეკის დანაშაულობათა სურათი. სხვა გზა არ იყო, უნდა დაეჭირათ, თავდაპირველად თავს იკლავდა, უბრალო ვარო. ერთი თვის წინათ კარგა მოზრდილი უსტარი დაწერა და კვლავ თავის უდანაშაულობას ამტკიცებდა. მაგრამ ეს თავისი წერილი, როგორც ჩანს, თავადვე დაუჯერებელი ეჩვენა და ბევრი რამ ისეთი თქვა, რაც არც ვიცოდით. როცა კითხულობთ, რატომ ასე ერთხმად აღიარებენო, ამის ერთი საერთო პასუხია – **„მობეზრდათ ერთისა და იმისავე გამეორება, აღარ შერჩათ თავის ბნელი საქმის სიმართლის რწმენა, დაინახეს, რომ შეუძლებელია ხალხის – ამ ოკეანის – წინააღმდეგ ბრძოლა და სიკვდილის წინ უნდათ სიმართლის თქმა, რათა დაწყევლილ იუდებად არ დარჩნენ ხალხის ხსოვნაში".**

ეგენი ჩვეულებრივი დამნაშავენი არ არიან, ქურდები, მაგათ სინდისის ნატამალი შერჩენილი აქვთ, ღალატი რომ ჩაიდინა, იუდამ აკი თავი ჩამოიხრჩო.

**ფოიხტვანგერი:** – ეგ ლეგენდაა.

**სტალინი:** – მაგრამ უბრალო ლეგენდა არ არის. ამ ლეგენდაში ებრაელმა ხალხმა თავისი დიდი ხალხური სიბრძნე ჩადო.

* * *

**როგორც ჩანს, ისტორიის ქარი მაინც ჩვენი უახლოესი წარსულიდან უბერავს, წარსულიდან, რომელიც აგრერიგად შელანძღეს ეგრეთ წოდებულმა ანტისტალინელებმა, ვისაც ყელში ეჩხირებოდა ქართველი კაცის სიდიადე და ამ ერთი კაცის ცხოველურ სიძულვილს მთელი ქვეყანა გადააყოლეს. ნუთუ ისტორია მართლა არ გვასწავლის, თუ როგორ უნდა ვიყურებოდეთ წინ, დღევანდელობაზე ბევრად უკეთესი მერმისისკენ?!.**

**მასალა დასაბეჭდად მოამზადა**
**გურამ გოგიაშვილმა**



# შეთანხმების ფანჯარა ნელ-ნელა იხურება

(მესამე გვერდიდან)

„ლეიბორისტული პარტიის" ოფისში მიმდინარე მოლაპარაკებების კიდევ ერთმა წევრმა **ნინო ბურჯანაძემ** არც მმართველ გუნდთან შეხვედრის შესაძლებლობა გამორიცხა:

**„თუ პოზიციები დაახლოვდება, არ არის გამორიცხული შეხვედრა. გაცილებით კონსტრუქციულები ჩანდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები გუშინ, ვიდრე სხვა ოფიციალურ შეხვედრებზე. ხელისუფლება დღეს ჰგავს გონიერ პარტნიორს, რომელთანაც დიალოგი მეტ-ნაკლებად შესაძლებელია. მათ დაინახეს საერთაშორისო საზოგადოების მკვეთრი განწყობა. ელჩების მხრიდან დიდია მოლოდინი, რომ მიღწეული იქნება კომპრომისი და მეც ამის იმედი მაქვს. არავის აქვს სურვილი, დრო ცარიელ დიალოგებზე დაიხარჯოს".**

ცნობილია, რომ მმართველმა გუნდმა უარი თქვა პროპორციულ სისტემაზე, აღნიშნული სისტემის ალტერნატივად ოპოზიციის მიერ შეთავაზებულ „გერმანულ მოდელზეც" და თავად წარმოადგინა სისტემა 100/50, რაც პროპორციული სიით 100 დეპუტატს და 50 მაჟორიტარს გულისხმობს. ცნობილია ისიც, რომ შეთავაზებას ოპოზიცია მხარს ცალსახად არ უჭერს, მიიჩნევს რა, რომ მხოლოდ რამდენიმე მაჟორიტარზე უარის თქმა ვითარებას რეალურად არ ცვლის. მაშ, რა მიმართულებით არის მოლოდინი პოზიციების დაახლოებისა?

**კულუარულად ხდება ცნობილი, რომ ამერიკელ დიპლომატთან გამართულ არაოფიციალურ შეხვედრაზე ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხი მთავრობის დაკომპლექტების უფლებას ეხებოდა. კერძოდ, პარტიას, რომელიც არჩევნებში 40%-ზე ნაკლებ ხმას მიიღებს, მთავრობის დაკომპლექტების შესაძლებლობა არ უნდა ჰქონდეს.**

რას გულისხმობს აღნიშნული კომპრომისული ინიციატივა და როგორ არის შესაძლებელი მისი განხორციელება?

როგორც **„აქცენტთან"** საუბრისას კონსტიტუციონალისტი **ვახტანგ ხმალაძე** განმარტავს, ეს შეთავაზება სამართლიან შედეგს ვერ უზრუნველყოფს, თუმცა შექმნილ ვითარებაში კომპრომისის მცდელობაა.

**„სამართლიანობის შეფასება ხდება იმ ზოგადი პარამეტრების მიხედვით, რომელიც ცივილიზებულ საზოგადოებაში სამართლიანი არჩევნების პირობადაა აღიარებული: წარმომადგენლობით ორგანოში პარტიების წევრთა რაოდენობა მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციული უნდა იყოს. ქვეყნებში, სადაც მოქმედი პარტიების რაოდენობა სამზე მეტია, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მსგავსი შედეგი, როგორც წესი, ვერ მიიღწევა. საუბარი იმაზე, რომ იყოს შერეული სისტემა, თუმცა თუ პარტიამ 40%-ზე მეტი ვერ მიიღო, ვერ შეძლოს მთავრობის დაკომპლექტება, კომპრომისული სისტემის შემოღების მცდელობაა, რომელიც სამართლიან შედეგს ვერ მოგვცემს, მაგრამ ერთ პარტიას არ მისცემს შესაძლებლობას, მოიპოვოს მანდატების ნახევარზე მეტი, თუ მხარდაჭერა 40%-ზე მეტი არ ექნება".**

როგორც ხმალაძე განმარტავს, მსგავსი სისტემისთვის მაჟორიტარული მანდატების მკვეთრი შემცირებაა საჭირო.

**„მთავრობის ფორმირებას პარლამენტის მინიმუმ, 76 წევრის მიერ ნდობის გამოცხადება სჭირდება. თუ ერთ პარტიას არ ექნება ამდენი მანდატი, მას მოუწევს კოალიციის შექმნა. იმის უზრუნველყოფა, რომ თუ პარტიას 40%-ზე მეტი მხარდაჭერა არ აქვს, ერთპარტიულად მთავრობას ვერ დააკომპლექტებს, მხოლოდ მაჟორიტარული წესით ასარჩევთა რაოდენობის შემცირებით და პროპორციული წესით ასარჩევთა რაოდენობის ზრდით უნდა მოხდეს. ამისთვის კი 100/50-სისტემა საკმარისი არაა. დაახლოებით 124/26 უნდა იყოს".**

კონსტიტუციონალისტის განმარტებით, შეთანხმების შემთხვევაში მის აღსრულებას სჭირდება კონსტიტუციური ცვლილება, შემდეგ კი ცვლილება საარჩევნო კოდექსში:

**„საჭიროა ცვლილება კონსტიტუციის გარდამავალ დებულებაში, რადგან იქ წერია, რომ წლევანდელი არჩევნებისას 77 აირჩევა პროპორციული წესით, 73 — მაჟორტარულით. ეს ნორმა შესაცვლელი იქნება".**

ამისთვის საჭიროა კანონპროექტის პარლამენტში ინიცირება, რეგისტრაცია, შემდეგ საყოველთაო სახალხო განხილვის კომისიის შექმნა, საყოველთაო და საკომიტეტო განხილვები, შემდეგ კი პროექტი პარლამენტში სამი მოსმენით უნდა გავიდეს. მხოლოდ საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ მოხდება ცვლილება საარჩევნო კანონში. გარდა ამისა, წელს არჩევნები 31 ოქტომბერს უნდა გაიმართოს, თუმცა ოფიციალურად არჩევნები ორი თვით ადრე უნდა დაინიშნოს. ამდენად, ვინაიდან თითოეული პროცედურა დროს მოითხოვს, კონსტიტუციონალისტი ვარაუდობს, რომ თავად პროცესი მაქსიმუმ, მარტის ბოლოდან უნდა დაიწყოს.

# რატომ არ არის კორონავირუსი „მკვლელი ვირუსი"?

**ახალი კორონავირუსის გავრცელებამ მსოფლიოს მასშტაბით მედიისა და საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. როგორია ახალი კორონავირუსით დაავადების, სიკვდილიანობისა და გამოჯანმრთელების სტატისტიკა?**

## დეტალური სტატისტიკა

2020 წლის 24 თებერვლის მონაცემებით კორონავირუსით:

- მსოფლიოს მასშტაბით დაავადებულია **79 000**-ზე მეტი (**77 150** — ჩინეთში);
- გარდაცვლილია **2744** ადამიანი (**27** — ჩინეთის გარეთ);
- გამოჯანმრთელდა **31 000**-ზე მეტი (**195** — დაავადდა ხელმეორედ);

ამგვარად, ჩინეთში ამ დროისთვის სიკვდილიანობა შეადგენს **3,3%**-ს. გამოჯანმრთელების პროცენტი შეადგენს **31,6%**-ს, დანარჩენი პაციენტები მკურნლობას აგრძელებენ.

„მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის" (WHO) მიერ საგანგებო სიტუაციად (და არამარტო) გამოცხადებული სხვა ინფექციების დროს სიკვდილიანობის მაჩვენებლები შეადგენდა:

- SARS — 8089 შემთხვევა, 774 გარდაცვალება (სიკვდილიანობა — **9,6%**);
- ებოლა — სიკვდილიანობა შეადგენს **25-90%,** WHO-ის ინფორმაციით;
- ზიკას ვირუსი — სხვადასხვა მონაცემებით, **8,3-**95%;
- 2009 წლის ე.წ. ღორის გრიპი — **0.001-0.007%**;
- პოლიო — **5-10%,** WHO-ის ინფორმაციით.
- მერსი — **34.4 — 37.1%,** WHO-ს ინფორმაციით.

24 თებერვლის ბრიფინგზე კორონავირუსის და სხვა დაავადების სიკვდილიანობის მაჩვენებლები ერთმანეთს შეადარა ამირან გამყრელიძემაც, დაავადება კონტროლის და პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელმა, და მოუწოდა მედიას, კორონავირუსს „სასიკვდილო ვირუსი" და „მკვლელი ვირუსი" არ უწოდოს.

## არსებობს თუ არა ვაქცინა ან წამალი?

**ჯერჯერობით, არ არსებობს ვაქცინა თუ წამალი, რომელსაც ჩინეთი, WHO თუ სხვა ქვეყანა ოფიციალურად აღიარებს. თუმცა მიმდინარეობს ტესტირება.**

ასე, მაგალითად, ცოტა ხნის წინათ ბევრმა რუსულმა მედიასაშუალებამ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს საბჭოთა დროს შემუშავებული წამალი „არბიდოლი" ჩინეთმა კორონავირუსის სამკურნალო პრეპარატების სიაში შეიტანა. ეს მთლად ასე არაა — ჩინეთმა „არბიდოლი" მხოლოდ პოტენციურად ეფექტურ წამლად აღიარა.

ვაქცინის შემუშავებით ამჟამად სხვადასხვა მხარეები არიან დაკავებული, თუმცა, როდის მოხდება მათი ტესტირება და რამდენად გამოსადეგი იქნება, უცნობია.

## ვირუსი და რეკომენდაციები

საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი აქვეყნებს რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც დაავადების პრევენციისთვის აუცილებელია: **ხელები ხშირად დაიბანეთ საპნითა და წყლით ან სპირტის შემცველი ხსნარით, რაც ანადგურებს ხელების ზედაპირზე არსებულ ვირუსებს.**

**სასუნთქი სისტემის ჰიგიენა** — ხველისა და ცემინებისას აიფარეთ პირსა და ცხვირზე ერთჯერადი ცხვირსახოცი, ან მოხრილი იდაყვი. ხველისა და ცემინების დროს პირსა და ცხვირზე ერთჯერადი ცხვირსახოცის ან მოხრილი იდაყვის აფარებით ხელს უშლით ვირუსებისა და მიკრობების გავრცელებას.

**შეინარჩუნეთ უსაფრთხო დისტანცია** — შეინარჩუნეთ არანაკლებ 1 მეტრი მანძილი თქვენსა და სხვა ადამიანებს შორის, განსაკუთრებით კი იმ ადამიანებთან, რომლებიც ახველებენ, აცემინებენ ან/და მაღალი სიცხე აქვთ. არ შეეხოთ დაბინძურებული ხელებით თვალებს, ცხვირსა და პირს. თუ გაქვთ სიცხე, ხველა და სუნთქვის გაძნელება დროულად მიმართეთ ექიმს, რადგან ეს სიმპტომები შესაძლებელია, გამოწვეული იყოს რესპირაციული ინფექციით ან სხვა სერიოზული დაავადებით.

ცხოველებთან და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებთან შეხების შემდეგ რეგულარულად დაიბანეთ ხელები საპნითა და გამდინარე წყლით.

მოერიდეთ ბაზარში ცხოველებთან კონტაქტს (მაგ, მაწანწალა კატები და ძაღლები, მღრღნელები, ფრინველები, ღამურები). განსაკუთრებულად ფრთხილად მოიქეცით მაშინ, როდესაც გიწევთ უმ ხორცთან ან რძესთან კონტაქტი, რადგან თავიდან აიცილოთ უმი პროდუქტებიდან ჯვარედინი დაბინძურება.

**თამთა ქარჩავა.**

# ვირუსმა მექასა და მედინაში ლოცვები „ჩაშალა"

**კორონავირუსის** გავრცელების ფონზე, საუდის არაბეთის ხელისუფლებამ მექასა და მედინაში სალოცავად შესვლა დროებით შეაჩერა.

„სამეფოში შემოსვლა უმრის მოსახდენად და ალ-მასჯიდ ან-ნაბავის მეჩეთის მონახულების მიზნით, დროებით შეჩერებულია", — აღნიშნულია უწყების განცხადებაში. გარდა ამისა, საუდის არაბეთი დროებით შეაჩერებს ქვეყანაში იმ უცხოელების შემოშვებას, რომელთა ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელება საფრთხეს წარმოადგენს.

# კორონავირუსი პოლიტიკაში ჩაერია

- **კორონავირუსთან** დაკავშირებული ვითარების გართულების გამო, სამხრეთ კორეაში ქვეყნის პრეზიდენტის გადადგომას ითხოვენ. ამ მიზნით შექმნილ პეტიციას 1 მილიონ 17 ათასი ადამიანი აწერს ხელს. პეტიცია სამხრეთ კორეის პრეზიდენტის ადმინისტრაციის საიტზეა განთავსებული. პეტიციის ავტორები ქვეყნის პრეზიდენტს, მუნ ჩჟე ინს აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მან ეფექტური ზომები ვერ მიიღო ქვეყანაში კორონავირუსის თავიდან აცილებისა და შეკავების მიზნით.

იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებგვერდზე განთავსებული რაიმე პეტიცია 200 ათასზე მეტს ხელმომწერს დააგროვებს, ხელისუფლება ვალდებულია, მასზე რეაგირება მოახდინოს. ბოლო მონაცემებით, სამხრეთ კორეაში კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობა 1595 ადამიანს შეადგენს, ხოლო 12 გარდაიცვალა.

- სამხრეთ კორეამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ახალი კორონავირუსის გამო საერთო წვრთნები გადადეს.
- ჩინეთის პრეზიდენტი იაპონიაში დაგეგმილ სახელმწიფო ვიზიტს, კორონავირუსის საფრთხის გამო არ გააუქმებს. ინფორმაციას მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს. გავრცელებული ინფორმაციით, სი ძინპინის ვიზიტი იაპონიაში 2020 წლის გაზაფხულზეა დაგეგმილი.

იაპონიაში ვირუსის 186 შემთხვევაა დაფიქსირებული, დაღუპულია შვიდი ადამიანი.

- ტაილანდის პარლამენტის დარბაზს დეზინფექცია ჩაუტარეს. ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი დეპუტატი იაპონიაში იმყოფებოდა, იქიდან დაბრუნებული კი, პარლამენტის შენობაში მივიდა. ტაილანდში კორონავირუსის 40 შემთხვევა დაფიქსირდა, მათგან 24 გამოჯანმრთელდა.
- ირანში კორონავირუსთან დაკავშირებით ჭორების გავრცელების ბრალდებით 24 ადამიანი დააკავეს. ინფორმაციას „ასოშიეთიდ პრესი" ავრცელებს. გავრცელებული ინფორმაციით, 118-მა ადამიანმა გაფრთხილება მიიღო.



**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადოებისათვის საყვარელი ადამიანი როსტომ ჩხეიძე ესტუმრა. ამჯერად მისი მიზანი გახლდათ, სტუდენტებისათვის უკეთ გაეცნო რეზო ჭეიშვილის პიროვნება, როგორც პროზაიკოსის, სცენარისტის, დრამატურგის და საერთოდ, მეტად საინტერესო შემოქმედისა.**

საღამოზე პირველად სიტყვით ამავე ფაკულტეტის პროფესორი ნინო ვახანია გამოვიდა. მან აღნიშნა, რომ ბატონი როსტომის სტუმრობა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში იშვიათობა არ არის, იგი წელიწადში რამდენჯერმე ეწვევა მათ და ანებივრებს არაჩვეულებრივი საჯარო ლექციებით.

**პროფესორმა აუდიტორიას წარუდგინა მწერლის ახალი ბიოგრაფიული რომანი რეზო ჭეიშვილის შესახებ — „რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ“. მანვე აღნიშნა, რომ საზოგადოება რეზო ჭეიშვილს უფრო მეტად იცნობს, როგორც „ცისფერი მთების“ ავტორს და გამოთქვა იმედი, რომ ამ საჯარო ლექციის შემდეგ სტუდენტები ბევრ საინტერესო რამეს შეიტყობდნენ. ნინო ვახანიამ როსტომ ჩხეიძეს ბიოგრაფიული ჟანრის დამამკვიდრებელი უწოდა, ორიოდე სიტყვით ახსენა მისი სწორედ ამ ჟანრის რომანები, ხაზი გაუსვა მათ სიუხვეს და აღნიშნა, რომ მათი მესამედიც კი მსოფლიოს დიდ ბიოგრაფოსებსაც კი არა აქვთ შექმნილი. ითქვა ისიც, რომ როსტომ ჩხეიძე არა მხოლოდ რომანებით შემოიფარგლება, არამედ იგი საჯარო ლექციებს ატარებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში: ქუთაისში, ზუგდიდში, თელავში, ბათუმში, ფოთში და სხვა, სადაც მუდმივად სიყვარულითა და ინტერესით ხვდება აუდიტორია. შემდგომ ამისა, ნინო ვახანიამ მადლობა გადაუხადა სტუმარს მობრძანებისთვის და მას გადასცა სიტყვა.**

როსტომ ჩხეიძემ თავისი გამოსვლა ქართულ ლიტერატურაზე საუბრით დაიწყო. მან ხაზი გაუსვა, რომ ზოგი ნიჰილისტურადაა განწყობილი ამ საკითხისადმი, ზოგიც — პირიქით, მეტად აზვიადებს ქართველ ავტორთა შემოქმედებას, მაგრამ სინამდვილეში ქართულ მწერლობას არც გასაზვიადებელი სჭირს რამე და არც დასაკნინებელი, ჩვენ მსოფლიო რანგის ლიტერატურა გვაქვს ყველა ჟანრში.

მწერალმა აღნიშნა, რომ ის, რაც უცხოეთში ითარგმნება ჩვენგან, ძირითადად მაინც მეორეხარისხოვანი ლიტერატურაა, ფსევდოლიბერალური ლიტერატურა, ხოლო უკეთეს წიგნებს არა აქვთ ისეთი დაფასება და პოპულარიზაცია, როგორიც საჭიროა.

ერთ-ერთი, ვისზეც შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ქმნიდა დიდ ლიტერატურას საქართველოში, ეს რეზო ჭეიშვილია. „არა კარგი და შესანიშნავი, არამედ — დიდი ლიტერატურა“ — სიამაყით წარმოთქვა როსტომ ჩხეიძემ და დასძინა, რომ როცა სრულად და ღირსეულად ითარგმნება მისი შემოქმედება, სიღრმისეულად მხოლოდ მაშინ დაფასდება დასავლეთშიც.

რეზო ჭეიშვილი იყო პროზაიკოსი და სცენარისტი. სამწუხაროდ, უფრო ცნობილია, როგორც სცენარისტი და უმთავრესად მაინც ფილმით „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი.“ მას ძალიან ბევრი სცენარი აქვს დაწერილი. სცენარი კი არ არის მხოლოდ ნედლეული კინოსთვის, მას აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რეზო ჭეიშვილის სცენარებსაც თამამად შეიძლება ეწოდოს სრულფასოვანი ლიტერატურა.

**როსტომ ჩხეიძემ, პირველ ყოვლისა, ისაუბრა საყოველთაოდ ცნობილი „ცისფერი მთების“ შესახებ. მისი პრემიერა პირველად საბჭოთა ეპოქაში შედგა ფილარმონიის დიდ, გადაჭედილ დარბაზში. 80-იანი წლების დასაწყისში რეზო ჭეიშვილის ამ ფილმმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე, განსაკუთრებით კი სამახსოვრო, ცოცხალი იუმორის წყალობით მონუსხა მაყურებელი. მიუხედავად ამ იუმორისა და გულიანი სიცილ-ხარხარისა, სიღრმეში იმალებოდა დიდი ტრაგედია, ტრაგიკომედია, რეალობის ზუსტი აღქმა, სრული აბსურდის ვითარება, აბსურდისა, რომელიც წამლავს ირგვლივ ყველასა და ყველაფერს.**

თურმე რეზო ჭეიშვილს ამ თემაზე ადრე დაწერილი ჰქონდა იუმორისტული ნოველა „ცისფერი ხიდები“. მოგვიანებით მან გაიაზრა, რომ ეს საკმაოდ დიდი, ტევადი თემა იყო და აქცია ტრაგიკომედიად, სატირად, გააღრმავა და გაშალა რომანად. როსტომ ჩხეიძემ ამბის სიუჟეტიც და შემდგომ მის ირგვლივ განვითარებული მოვლენებიც მოკლედ უამბო შეკრებილ საზოგადოებას. მწერალმა აღნიშნა ისიც, რომ თხზულებაში არის არანაკლებ შესანიშნავი ადგილები, რომლებიც ფილმში, სამწუხაროდ, ფორმატიდან გამომდინარე, ველარ გადავიდა. რომანი, ფილმისგან განსხვავებით, ღია ფინალით მთავრდება. თავად სათაური „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“ ასე აიხსნება: დაუჯერებელი ამბავი აბსურდული რეალობაა, ცისფერი კი იმედს ნიშნავს. როცა იმედია, იქ რაღაც ხსნაც აუცილებლად გამოჩნდება.

როსტომ ჩხეიძემ სტუდენტებს უამბო ისიც, რომ ელდარ შენგელაიამ რამდენიმე ხნის შემდეგ რეზო ჭეიშვილის კიდევ ერთი რომანის — „ასკილის წითელი ყვავილი“ — მიხედვით გადაიღო ფილმი „ექსპრეს ინფორმაცია“. ისევ ფილარმონიაში შედგა ამ ფილმის პრეზენტაცია. საზოგადოებისათვის ცნობილ და საყვარელ ხელოვანებს ხალხი ტაშით შეეგება. ეკრანზე გამოჩნდნენ ზურაბ ყიფშიძე, ნინელი ჭანკვეტაძე და სხვანი. მიუხედავად ამისა, ფილმმა ფურორი ნამდვილად ვერ მოახდინა, მაყურებელი ვერ აღაფრთოვანა. გურამ დოჩანაშვილის ერთი მოთხრობის ერთი პასაჟისა არ იყოს: **„მთელი დარბაზი უზარმაზარ საცივგადასხმულივით იჯდა“**. რეზო ჭეიშვილიც ძალიან უკმაყოფილო დარჩა ამ ფილმით.



# დამაჯერებლად მოთხრობილი „დაუჯერებელი ამბავი“



**ლიტერატურაში შემოსვლისთანავე საყურადღებო იყო რეზო ჭეიშვილის შემოქმედება. მას ჰქონდა იუმორისტული მოთხრობები, ხატავდა ქუთაისურ კოლორიტს, გამოირჩეოდა თავისებური სტილით. მას ეკუთვნის რომანი „ქალაქში დინოზავრები დადიან“ (ჩემი მეგობარი ნოდარი), რაც შემდეგ ფილმადაც გადაიღეს. როცა მისი რომანი „დალი“ დაიბეჭდა, ამან გაღიზიანება გამოიწვია, შიში ძლიერი კონკურენციისადმი. ავტორს „ცისკარში“ ჰქონდა ეს რომანი მიტანილი. რედაქციის თანამშრომლებმა ურჩიეს, დაებეჭდა, რადგან, მათი აზრით, იგი ვერ შეედრებოდა სხვა ნაწარმოებებს ავტორისა. რეზო ჭეიშვილმა ძალიან მონდომებით იცოდა ხოლმე ნაწარმოებების გასწორება. ეს რომანიც პუბლიკაციის პროცესში გულდაგულ დაამუშავა. „ცისკარში“ წინა ვარიანტიც ჰქონდათ დატოვებული, რომელიც გაატანეს აკაკი ბაქრაძეს შესაფასებლად, მკაცრი, მოურიდებელი კრიტიკით რომ გამოირჩეოდა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მისთვის მიუციათ ის ძველი, ჯერ კიდევ გაუსწორებელი ნაწერი...**

რეზო ჭეიშვილის შემოქმედებაში მძაფრადაა ხაზგასმული აბსურდის თეორია. მას ეკუთვნის მეტად საგულისხმო ფრაზები, მაგალითად: **„ნახევრად თბილისში ვარ დაბადებული“**. მთარგმნელმა იფიქრა, რომ მას სურდა, ეთქვა **„ნახევრად თბილისელი ვარო“** და ასე გადათარგმნა კიდევაც რუსულად. ამაზე რეზო ჭეიშვილი ძალიან გაბრაზდა, რადგან ჩვეულებრივად უქციეს ფრაზა, ისეთად, როგორსაც ყველა იტყოდა.

„მიწების განაწილება“ — რეზო ჭეიშვილის ამ შედევრზეც ისაუბრა როსტომ ჩხეიძემ. ამ სატირულ მოთხრობაში იხატება სახე პატარა ადამიანებისა, მწერალთა კავშირის წევრებისა, საფლავების განაწილების გამო რომ კარგავენ ადამიანურობას და იბრძვიან რეალურად სწორედ რომ აბსურდისათვის. ბევრი ცუდადამიანური თვისებაა ხაზგასმული ამ ნაწარმოებში და დიდ ინტერესს იწვევს მკითხველში. მომხსენებელმა ნაწარმოების სიუჟეტური ქარგის შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია მსმენელს. ისიც აღნიშნა, რომ მოთხრობას რეალური ამბავიც შეიძლება ედოს საფუძვლად, საფლავების ვერგანაწილების ამბავი დიდუბესა და მთაწმინდაზე ზოგიერთი პიროვნების მიერ. თავად ისტორიას ორი მხარე აქვს — თან იცინის ადამიანი და თან გული უკვდება, როცა ფიქრობს, სადამდე შეიძლება დაცემა.

როსტომ ჩხეიძემ რეზო ჭეიშვილის კიდევ ერთ მოთხრობაზე გაამახვილა ყურადღება. „ვაიმე, ჩემო ვენახო“ ეხება ორი მეზობელი ოჯახის ქიშპის ამბავს. ისინი ვერ იყოფენ ფეხისალაგს, რომელიც რეალურად არც ერთს არ სჭირდება, ყველაფერს აკეთებენ უბადრუკი მიზნის მისაღწევად და საკუთარი სიტყვის გასატანად. რეზო ჭეიშვილმა დაგვანახა ადამიანების სახე, იმ ადამიანებისა, რომლებიც რაღაც დიადი, ამაღლებულის ნაცვლად ფიქრობენ სრულიად უმნიშვნელოზე და ფლანგავენ ცხოვრების ძვირფას წუთებს, თანაც, ამით აწუხებენ საზოგადოებას. ამ მოთხრობის გარდა, „მეოთხე სიმფონია“ — კიდევ ერთი შესანიშნავი რომანია რეზო ჭეიშვილისა, რომლის შესახებაც როსტომ ჩხეიძემ უამბო სოხუმელ სტუდენტებს და რომელშიც ასევე მანკიერი თვისებებია ხაზგასმული საზოგადოებისა, მათ შორის მისი განათლებული ფენებისა. დახატულია ეპოქალური გარემო, სულიერი რღვევა ხალხისა, ნგრევა, გაუფასურება იდეალებისა, გაუცხოება.

**მომხსენებელმა გამოყო „კვამლი“, როგორც გვირგვინი რეზო ჭეიშვილის შემოქმედებისა, „გია“, „რასემონი“, „გუია ა“, რომელიც თურმე თვითონ ავტორს რჩეულში არ შეჰქონდა, მაგრამ ბატონი როსტომის გემოვნებას ენდო და ასე დაიბეჭდა რჩეული მოთხრობების იმ კრებულში, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს რეზო ჭეიშვილის პროზის დიდებულებას.**

კიდევ დიდხანს ისაუბრა როსტომ ჩხეიძემ რეზო ჭეიშვილზე და იმასაც გაუსვა ხაზი, რომ თუკი ვინმე იმსახურებდა ნობელის პრემიას, ერთ-ერთი სწორედ ეს მწერალი. ახსენა მისი დღიურებიც, სადაც ხელოვანი უამრავ საინტერესო დეტალს ინიშნავდა ეპოქასა თუ გარემომცველ სინამდვილზე. განსაკუთრებულად აღნიშნა თავისი ბიოგრაფიული რომანის სათაური „რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ“ — სიტყვები, რომლებიც რეზო ჭეიშვილის „მეოთხე სიმფონიიდან“ მომდინარეობს, საიდუმლონარევ სინანულს მალავენ საკუთარ თავში.

საღამო დაახლოებით 2 საათს გაგრძელდა. როსტომ ჩხეიძის სიტყვის შემდეგ პროფესორმა ნინო ვახანიამ წაიკითხა თავისი სტუდენტის დავით სახელაშვილის ლექსი, რეზო ჭეიშვილის შემოქმედებით შთაგონებული:

## ჭეიას

შავად გაჩენილი, უფრთო ფრინველი, ზეცაში მყოფი ჭეია,
მისი სანოვაგე, ჭირში ნაგროვები, დროში უდროობის ხატია.
ტკივილს შეეწირა მისი შავი ფრთები, თეთრად მოფრთხიალე,
როგორც შემოდგომას, ქუჩის ფოთოლივით ჩიტი მოხრიალე.

მისი რეალობა, მძიმე ასატანი, ქვეყნად ავადმყოფი
დაწვენილი,
ჭმუნვა წარბთა კოპვით, თვალთა არეალით ხეა დატოტვილი.
სამად სამი ტოტი, ყვავის სილუეტი მასზე შემომჯდარი,
თეთრი მომზირალი, შავად გარდაქმნილი, საფლავს
ლოდი მდგარი.

მზის ამოსვლისას ისევ მელანდება მთაზე მიმავალი სილუეტი,
ყანა ძველი არის, მისი სამყოფელი მონატრებაა, განა მეტი,
და ის მონატრება ძველი ანდერძივით ელის სამემკვიდროს,
განა მისი ღვაწლი, არა, სიყვარული ქვეყნად დაემკვიდროს,

როგორც ის ცაცხვები, მიწას დაბჯენილი ფესვთა
წარმოქმნილი,
მისი ბილიკები, მისგან ცარიელი, თვისი ნატერფალი სულიერი,
და ის ოცნებები, შავი მჩხავანები, თეთრი ის ყვავები,
იქნებ დავინახო, რათა მეც შევიგრძნო მისი ტკივილები.

დასასრულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა ნანა კუციამ ისაუბრა როსტომ ჩხეიძის რომანის შესახებ. აღნიშნა, რომ ავტორის შემოქმედებაში არც ერთი პერსონაჟი არ იხატება იდეალიზებული: **„გვაძლევს ყველაფერს პიროვნებისას: შუქსაც, ჩრდილსაც... ყოველგვარი რეტუშირების გარეშე და ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, ზუსტად ეს არარეტუშირება არის ყველაზე ღირებული ამ წიგნშიც. ბატონი როსტომი არ გვახვევს თავს თავის დამოკიდებულებას პერსონაჟის მიმართ. ის მისი ბიოგრაფიიდან ამოწერს არსებითად ყველა ფაქტს, ჭეშმარიტების კონცეპტით და დანარჩენი მკითხველზეა დამოკიდებული.“**

აუდიტორიას სიტყვით მარინა ტურავამ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმაც, მიმართა. მან აღნიშნა, რომ გამორჩეულია ბატონი როსტომის თხრობის სტილი: **„ისე ჰყვება ყველა ამბავს, თითქოს თვითონ იყო მონაწილე. მისი მოსმენით ჩვენ ვსწავლობთ შეფასებას, დამოკიდებულებას ტექსტისადმი, ეპოქისადმი, ერთმანეთისადმი პატივისცემას და მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო მას ამისათვის. თქვენთვის, სტუდენტებისათვის, პროფესიული სრულყოფის გზაზე რომ დგახართ, ძალიან მნიშვნელოვანია ეს გამოცდილება, რადგან აქედან წასულებს, შთაგონებულთ, უამრავ საინტერესო ტექსტთან მოგიწდებათ შეხება. ბატონი როსტომის ამგვარი ლექციები ინსპირაციის წყაროა. კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი მას და არ დავიღლები, მადლობა ვუთხრა ლიტერატურას, რომელიც ამდენ სიხარულს გვჩუქნის ყველას.“**

**ლექციის ბოლოს ნინო ვახანიამ კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმარსა და დამსწრე საზოგადოებას და სტუდენტებს შესთავაზა, თვითონვე მოეფიქრებინათ თემა შემდეგი საჯარო ლექციისთვის, რაზეც სტუმარიც სიამოვნებით დათანხმდა. ასე რომ, უახლოეს მომავალში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სიამოვნებით დაელოდება საინტერესო და მრავლისმომცველ საჯარო ლექციას საყვარელი მწერლისა.**

**სალომე წყაროზია**

## გენადი არველაძე:

# ევროკავშირი გახლავთ საუკეთესო მაგალითი, სადაც სრულად ხდება ქართული საექსპორტო პროდუქტის ათვისება

**2014 წლის შემდეგ, როდესაც ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ძალაში შევიდა, ევროკავშირში ქართული წარმოშობის პროდუქტების კუთხით 22%-იანი წილი 31%-მდე გაიზარდა, — ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ გენადი არველაძემ სასტუმრო „შერატონ გრანდ თბილისში“ მიმდინარე ეკონომიკურ კონფერენციაზე განაცხადა.**

მისივე თქმით, **„ევროკავშირში საქართველოს მთლიან ექსპორტში წილი 89%-ია, რაც ნიშნავს იმას, რომ იზრდება ჩვენი ქვეყნისა და პროდუქციის ცნობადობა ევროკავშირის ბაზარზე. ასევე, მნიშვნელოვნად გაზრდილია იმ კომპანიების რაოდენობა, რომლებიც ევროკავშირში ექსპორტს ახორციელებენ და მათი რაოდენობა დღეს 910 კომპანიას შეადგენს“.**

გენადი არველაძემ ის პროდუქტებიც დაასახელა, რომლებიც ბოლო პერიოდის განმავლობაში წარმატებით გადის ევროპულ ბაზარზე.




**„ევროკავშირის ბაზარზე ყოველწლიურად ახალი პროდუქტები გადის. მაგალითად, ახალი ხილი, ასევე, სხვადასხვა ინდუსტრიული წარმოების პროდუქტები, როგორიცაა ავეჯი, მათ შორის, ავეჯი ცხოველებისთვის, რომლის წარმოება საქართველოში პირველად შეიქმნა, მინის ბოთლების წარმოება, რომელიც პირველად გავიდა ასევე ამ ბაზარზე, სხვადასხვა ხილისა და ბოსტნეულისგან მიღებული პროდუქტი, თაფლი, რომლის წარმატებული ექსპორტი პირველად შარშან განხორციელდა. ეს იმ პროდუქტების ჩამონათვალია, რომელიც 2014 წლის შემდეგ განთავსდა ევროკავშირის ბაზარზე და ფაქტობრივად, იზრდება ჩვენი ცნობადობა ამ პროდუქტებთან ერთად. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა 2014 წლამდე განთავსებული პროდუქტების რაოდენობაც“.**

არველაძის შეფასებით, საქართველო წარმატებით ართმევს თავს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. ამასთან, მინისტრის მოადგილის განცხადებით, მთავრობა სხვადასხვა პროგრამით ეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესს ცვლილებებთან ადაპტირებისთვის.

# ნავთლუღს ახალი სკვერები დაამშვენებს



**ისნის რაიონში მდებარე ნავთლუღის VI შესახვევს ოთხი ახალი სკვერი შეემატება. ამ დროისთვის, სამი სკვერის მოწყობა მეექვსე შესახვევის №3, №5 და №7 კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე ხორციელდება.**

პროექტის ფარგლებში, №9, №11 და №13 კორპუსებთან სკვერი და მრავალფუნქციური სპორტული მოედანი მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მოეწყობა.

ისნის რაიონის გამგებელი კახა ლაბუჩიძე და დეპუტატები მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებსაც გაეცნენ და ადგილობრივებთან ერთად დაგეგმილი პროექტების დეტალები განიხილეს.

ოთხივე სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობისთვის ისნის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან 500 000 ლარამდე დაიხარჯება.

## ჩოგბურთი

# ტურნირები, შედეგები



**ქართველ ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა შარშან დუბაის საერთაშორისო ტურნირზე ორი წრე განვლო. იგი წლეულსაც ჩაება მსგავს შეჯიბრებაში, მაგრამ 2019-ში მოპოვებული სარეიტინგო ქულების დაცვა ვერ შეძლო, რადგან მე-2 წრეში დამარცხდა. უკვე ვწერდით, რომ ბასილაშვილმა სტარტზე სამსეტიან პაექრობაში ლიეტუველ რიჩარდას ბერანკისს აჯობა 5:7, 7:6, 6:3, რასაც 2 საათი და 40 წუთი მოანდომა. მერვედფინალში კი გერმანელ იანლენარდ შტრუფთან 40 წუთში დამარცხდა - 1:6, 0:6 და ასპარეზობას გამოეთიშა. 6-7 მარტს ბასილაშვილი საქართველოს ნაკრებთან ერთად თბილისში დევისის თასზე ესტონეთის წინააღმდეგ ითამაშებს.**

* * *

**სოფიო შაფათავა აშშ-ში ქალთა 25.000-იან ტურნირში ცდიდა ძალებს. სტარტი მან კვალიფიკაციიდან აიღო. ზედიზედ სძლია მასპინძლებს — მაია პიცისას (6:2, 7:6) და ელიზაბეტ მანდლიკს (6:2, 6:4), რითაც ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა, იქ კი ბრიტანელ ქეით სვენთან დამარცხდა — 4:6, 0:6.**

**მარიამ დალაქიშვილი** ჰერაკლიონის (საბერძნეთი) 15.000-იან შეჯიბრებაში მონაწილეობს. წყვილებში ავსტრიელ მირა ანტონიჩთან ერთად სტარტზე იტალიელებს — ფედერიკა არსიდიკონოს და ნურია ბრანკაჩოს სძლია — 1:6, 7:6, 10:8. მეოთხედფინალში მე-4 ნომრად განთესილ ალბა კარილოს (ესპანეთი) და კორინა დენტონის (იტალია) დუეტს გაუწევს მეტოქეობას. ერთეულებში დალაქიშვილი ასპარეზობის ერთ-ერთ ფავორიტს — მესამე ნომრად განთესილ ანა შიშკოვას (ჩეხეთი) დაუპირისპირდა. ორთაბრძოლა 2 საათსა და 50 წუთს გაგრძელდა და ჩვენებურმა სამ სეტში 4:6, 7:5, 6:3 გაიმარჯვა. მე-2 წრეში დალაქიშვილი იტალიელ ფედერიკა როსისთან გაარკვევს ურთიერთობას.

* * *

**ანტალიის 15.000-იანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე ცდიდა ძალებს ერთეულებში ზოზია ქარდავა, მაგრამ პირველსავე წრეში ყაზახ კამილა კერიმბაიევას ვერ გაუმკლავდა - 7:5, 4:6, 2:10, სამაგიეროდ, წყვილებში გოზალ აინიტდინოვასთან (ყაზახეთი) ერთად ფრანცისკა ჟორჟესა (პორტუგალია) და ლუსი ვაგნერს (საფრანგეთი) მოუგო — 6:4, 6:4.**

ანტალიაშივე ვაჟთა 25.000-იან ტურნირში ჩაება ორი ქართველი. ერთეულთა საკვალიფიკაციოში ალექსანდრე მეტრეველმა ზედიზედ ორ მოწინააღმდეგეს აჯობა — იტალიელ დავიდ პონტოგლოს (6:1, 6:7, 10:6) და რუმინელ ბოგდან აპოსტოლს (6:4, 3:6, 10:8). მთავარი ბადის პირველ წრეში კი მე-3 ნომრად განთესილ მასპინძელს — ალთუგ კელიკბილეკთან პაექრობისას, როცა ანგარიში იყო 5:2 თურქის სასარგებლოდ, ქართველმა ჩოგბურთელმა ტრავმა მიიღო და შეხვედრის გაგრძელება ვერ შეძლო.

ამავე ტურნირის წყვილთა შეჯიბრებაში პირველი გამარჯვება იზეიმა ზურა ტყემალაძემ, რომელმაც ქენგიზ აკსუსთან (თურქეთი) ერთად მასპინძლების — იანკი ერელისა და ერგი კირკინის ტანდემი დაჯაბნა — 6:4, 6:4.

**ლექსო ცინცაძე**

## მძლეოსნობა

# სასახლის სარბიელზე – ახალგაზრდები

**სპორტის დედოფლის სასახლეში დამთავრდა ახალგაზრდა მძლეოსანთა საქართველოს ღია ჩემპიონატი. შეჯიბრებაში ქართველებთან ერთად სომეხმა სპორტსმენებმაც მოსინჯეს ძალები და რამდენიმე მედალიც მოიხვეჭეს. ქართველთაგან კარგი შედეგები აჩვენეს მარიამ აბრამიშვილმა 60 და 200 მეტრზე რბენაში, მარიამ კაპანაძემ - სტაიერულ დისტანციებზე (1500 და 3000 მ), გიორგი ბურდიაშვილმა ჭოკით ხტომასა და ვაჟა მარტყოფლიშვილმა ბადროს ტყორცნაში.**

ორდღიანი დაძაბული პაექრობების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: **გოგონები. 60 მ.** მარიამ აბრამიშვილი (თბილისი-ბორჯომი, 8.02), **200 მ.** მარიამ აბრამიშვილი (27.21), **400 მ.** ანანო ბიწაძე (თბილისი, 1:05.89), **800 მ.** ასია ჩარუხჩიანი (ახალციხე, 2:39.88), **1500 მ.** მარიამ კაპანაძე (თბილისი, 5:33.77), **3.000 მ.** მარიამ კაპანაძე (11:51.34); **60 მ/თ.** ლორა ბაბანოვა (თბილისი, 10.65); **სიგრძე.** სუსანა გრიგორიანი (სომხეთი, 5.50), **სიმაღლე.** მარიამ შხვაცაბაია (თბილისი, 135); **სამხტომი.** სუსანა გრიგორიანი (სომხეთი, 11.23), **ბირთვი.** მანანა მიქაძე (მარტვილი, 9.85), **ბადრო.** ქეთი მამალაძე (ოზურგეთი, 16.59), **შუბი.** მარიამ მამედოვა (თბილისი, 22.08);

**ვაჟები. 60 მ.** საბა ბურდული (თბილისი, 7.50), **200 მ.** ჰრაჩია მინასიანი (სომხეთი, 24.70), **400 მ.** ჰრაჩია მინასიანი (56.26), **800 მ.** სამველ ატანესიანი (სომხეთი, 2:11.88), **1500 მ.** სამველ ატანესიანი (4:46.80), **3000 მ.** თენგიზ ჩინჩალაძე (ჭიათურა, 11:32.61), **60 მ/თ.** ვაჰან მურადოვი (თბილისი, 10.72); **სიგრძე.** ლუკა ჯაიანი (აჭარა, 6.17), **სიმაღლე.** ბესო ილარიანი (თბილისი, 145), **სამხტომი.** ლუკა ჯაიანი (აჭარა, 12.05), **ჭოკი.** გიორგი ბურდიაშვილი (თბილისი, 4.20), **ბირთვი.** ლუკა ზანაძე (თბილისი, 13.03), **ბადრო.** ვაჟა მარტყოფლიშვილი (თბილისი, 39.40);

**გივი გაგუა**




## ფეხბურთი

# გვარდიოლამ ზიდანს აჯობა

**ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ორი საინტერესო მატჩი გაიმართა. განსაკუთრებით დაძაბული აღმოჩნდა ორთაბრძოლა „სანტიაგო ბერნაბეუზე“, სადაც მადრიდის „რეალმა“ ინგლისურ „მანჩესტერ სიტის“ უმასპინძლა. თითქმის მთელი პაექრობის განმავლობაში უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ. პეპ გვარდიოლას შეგირდებმა არაერთი ხელსაყრელი მომენტი შექმნეს, მაგრამ ტიბო კურტუამ რამდენჯერმე იხსნა თანაგუნდელები, თუმცა ორჯერ ისიც უძლური აღმოჩნდა. „სიტიმ“ 2:1 მოიგო შეხვედრა. სამივე გოლი მე-2 ტაიმში გავიდა: ანგარიში მე-60 წუთზე რეალელმა ისკომ გახსნა, რასაც ინგლისელებმა გაბრიელ ჟესუსისა (78) და დე ბრუინის (83, პენალტი) შეგდებული ბურთებით უპასუხეს. განმეორებით მატჩს გამოტოვებს ესპანელი სერხიო რამოსი, რომელმაც 86-ე წუთზე წითელი ბარათი დაიმსახურა. ეს კი „რეალს“ არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში აყენებს.**



„სანტიაგო ბერნაბეუზე“ 75 ათასი მაყურებლის თვალწინ გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

**„რეალი“**: კურტუა; კარვახალი, რამოსი, ვარანი, მენდი; მოდრიჩი (ვასკესი 84), კაზემირო, ვალვერდე; ისკო (იოვიჩი 84), ბენზემა, ვინისიუსი (ბეილი 75), მწვრთნელი: ზინედინ ზიდანი;

**„მანჩესტერ სიტი“**: ედერსონი; უოლკერი, ოტამენდი, ლაპორტი (ფერნანდინიო 33), მენდი; გუნდოგანი, როდრი, დე ბრუინი; მაჰრეზი, გაბრიელ ჟესუსი, ბერნარდო სილვა (სტერლინგი 73), მწვრთნელი: პეპ გვარდიოლა.

ლიონში კი „პარკ ოლიმპიკზე“ საფრანგეთის „ლიონმა“ ტურინის „იუვენტუსი“ მიიღო. მასპინძლებმა წარმატებას 31-ე წუთზე ტუსარის მიერ შეგდებული ბურთის წყალობით მიაღწიეს. „ლიონმა“ პირველ ტაიმში აშკარად აჯობა მეტოქეს, შესვენების შემდეგ კი თავი კარგად დაიცვა და მინიმალური უპირატესობა - 1:0 შეინარჩუნა.

* * *

**„ლიონი“** ლოპეში; დენაიერი, მარსელო, მარსალი; დუბუა (ტეტე 78), გიმარაეში, ტუსარი, ოუარი, კორნე (ანდერსენი 81); ეკამბი (ტერიე 66), დემბელე, მწვრთნელი რუდი გარსია;

**„იუვენტუსი“**: შჩესნი; დანილო, დე ლიხტი, ბონუჩი, ალექს სანდრო, ბენტანკური, პიანიჩი (რემზი 61), რაბიო (ბერნარდესკი 78); კუადრადო (იგუაინი 70), დიბალა, რონალდუ, მწვრთნელი მაურიციო სარი.

**ლაშა დიდია**

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306-306^{1}6$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ელიზა ლაგვილავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ელიზა ლაგვილავა (პ/ნ 61301094430), ქ. ზუგდიდი, პუშკინის ქ. 41.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. ზუგდიდი, პუშკინის ქ. 41 (საკადასტრო კოდი: 43.31.59.133).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 9362.97 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 27 თებერვალი, 16:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 12 მარტი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP65245520;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 652455

**6. მოვალე:** ელიზა ლაგვილავა (პ/ნ 61301094430), ქ. ზუგდიდი, პუშკინის ქ. 41.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP65245520; ლოტის ნომერი: 652455).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 12 მარტის 10:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306-306^{1}6$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნანა მაზანაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნანა მაზანაშვილი (პ/ნ 59001068229), ქ. გორი, გრიბოედოვის 13, სართ. 1, ბინა 2-3

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. გორი, გრიბოედოვის 13, სართ. 1, ბინა 2-3 (საკადასტრო კოდი: 66.05.05.083.01.503).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 14696.28 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 27 თებერვალი, 16:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 12 მარტი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP65245620;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 652456

6. **მოვალე:** ნიკოლოზ მეზვრიშვილი (პ/ნ 59001069204), გორი, გრიბოედოვის 13, სართ. 1, ბინა 2-3

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP65245620; ლოტის ნომერი: 652456).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 12 მარტის 10:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306-306^{1}6$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს კობა ოქროპირიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** კობა ოქროპირიძე (პ/ნ 61004006820), ქობულეთი, გულო კაიკაციშვილის ქ. 19, ბინა 12.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №163 (საკადასტრო კოდი: 05.32.09.027).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 105423.94 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 27 თებერვალი, 16:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 12 მარტი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP65245720;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 652457

6. **მოვალე:** კობა ოქროპირიძე (პ/ნ 61004006820), ქობულეთი, გულო კაიკაციშვილის ქ. 19, ბინა 12;

ელეონორა ცაცანიდი (პ/ნ 61004009406), ქობულეთი, გულო კაიკაციშვილის ქ. 19, ბინა 12;

ვლადიმერ ოქროპირიძე (პ/ნ 61004015178), ქობულეთი, გულო კაიკაციშვილის ქ. 19, ბინა 10.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP65245720; ლოტის ნომერი: 652457).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 12 მარტის 10:00 საათამდე.

# პატიმართა წამებაში ბრალდებული ციხიდან გაათავისუფლეს

**პატიმართა წამებაში ბრალდებულმა ჯონი ივანიშვილმა „მატროსოვის ციხე“ გუშინ დატოვა.**



რუსთავის საქალაქო სასამართლომ სასჯელაღსრულების №6 დაწესებულების თანამშრომლების პატიმართა წამებაში ბრალდებულების ჯონი ივანიშვილისა და ვლადიმერ კაპანაძის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი 2014 წელს გამოიტანა.

დაწესებულების დირექტორის მოადგილე ჯონი ივანიშვილსა და რეჟიმის უფროს ვლადიმერ კაპანაძეს, რომლებიც სასჯელაღსრულების №6 დაწესებულების საპასუხისმგებლო თანამდებობებს იკავებდნენ, უშუალოდ ევალებოდათ პატიმრების დაცვა. ამის ნაცვლად ისინი, არაკანონიერი მეთოდებით, გაუსაძლის პირობებს უქმნიდნენ პატიმრებს, აშინებდნენ, აყენებდნენ ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ფსიქიკურ და მორალურ ტანჯვას.

ჯონი ივანიშვილისა და ვლადიმერ კაპანაძის ხელმძღვანელობით პატიმრებს ადმინისტრაციის მუშაკთა და სპეცრაზმის მიერ გაკეთებულ ე.წ. კორიდორში ატარებდნენ და მათ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ისინი უმეტეს შემთხვევებში უშუალოდ აწამებდნენ და ამცირებდნენ მსჯავრდადებულებს.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჯონი ივანიშვილს 6 წლითა და 9 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა და თანამდებობის დაკავების უფლება 2 წლით და 3 თვით ჩამოერთვა. ვლადიმერ კაპანაძეს კი 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა დაუსწრებლად შეეფარდა (ვლადიმერ კაპანაძე იძებნება).






# „უსასრულობას არა აქვს ნაპირი“

**თბილისის რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში გაიმართა მომღერლისა და კომპოზიტორის ქეთი გაბისიანის შემოქმედებითი საღამო, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. საღამოს თავად ქეთი უძღვებოდა, მან უღრმესი მადლობა გადაუხადა მაყურებელს იმისთვის, რომ სამ დღეში ყველა ბილეთი გაიყიდა. დამსწრე საზოგადოებას წარმოგვიდგინა ბენდი: პაატა ნადირაძე, დათო ჯაფარიძე, ირაკლი მენთეშაშვილი, ზაზა ცერცვაძე, ხონძი, ლევან დეისაძე, პიანისტები 20 წლის ლუკა თოფურია და უმშვენიერესი ნინო გულიაშვილი.**

შემოქმედებით საღამოზე მონაწილეობდნენ ცნობილი მუსიკოსები და მომღერლები, დიდი წარმატება ხვდა წილად გიორგი ცაგარელის კომპოზიციას, რომელსაც აკომპანიმენტს თავად კომპოზიტორი უწევდა. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სოლო შემსრულებლები: **ნინო ქათამაძე, ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, ნუკრი კაპანაძე, ნეკა სებისკვერაძე, გიორგი კელაპტრიშვილი,** ქეთის კომპოზიციით წარსდგენენ დუეტები **სოფო გელოვანი** და **ნოდიკო ტატიშვილი, აჩიკო ნიჟარაძე** და **ნათია ტოგონიძე,** ჯგუფი **„ქვინთესენსი“,** სწორედ ამ ჯგუფისთვის ქეთი წერდა საბავშვო სიმღერებს და სხვადასხვა კონკურსებში იმარჯვებდნენ. დიდი მოწონება ხვდა წილად თეატრალურ კვარტეტს და შვიდკაცას.

კომპოზიტორმა დიდი მადლობა გადაუხადა ნანა ცინცაძეს და ირინა სანიკიძეს რომელთა ლექსებზეც შეიქმნა მისი ცნობილი ჰიტები **„უსასრულობას არა აქვს ნაპირი“, „დღეს ღამე ცვლის“, „სიყვარული არის ძნელი“** და სხვა.

საღამოს რეჟისორი გახლდათ **ბაკურ ბაკურაძე.** თითოეულ მუსიკალურ ნომერს ხანგრძლივი აპლოდისმენტები სდევდა თან.

**ნანა ჭიჭინაძე**

# წლის საუკეთესო წყალქვეშა ფოტოგრაფი

**ბრიტანული კონკურსის „წლის წყალქვეშა ფოტოგრაფი“ გამარჯვებულები დასახელდნენ.**

ჟიურის წევრებმა საუკეთესო ნამუშევრები 70 ქვეყნიდან მიღებული 5500 ფოტოს შორის შეარჩიეს.

2020 წელს მთავარ ნომინაციაში (საუკეთესო ფოტოგრაფი) ფრანგმა ფოტოგრაფმა გრეგ ლეკიორმა გაიმარჯვა, ფოტოთი „გაყინული სახლი ბორბლებზე“, რომელიც ანტარქტიდის ნახევარკუნძულზე ექსპედიციის დროს გადაიღო. მასზე აისბერგის წყალქვეშა ნაწილია გამოსახული, რომლის ირგვლივ სელაპები დაცურავენ.



# ერდოღანი ასადის ჯარებს ერთ კვირაში „გაანადგურებს“...



**თურქეთი იდლიბში სირიის სამთავრობო ძალებს სადამკვირვებლო პოზიციებიდან მიმდინარე კვირას გააძევებს. ამის შესახებ პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა.**

იდლიბში, ბოლო სამი თვის განმავლობაში სირიის სახელისუფლო ძალებსა და თურქეთის მხარდაჭერით მოქმედ ამბოხებულებს შორის საომარი მოქმედებების გამო ერთ მილიონამდე სირიელმა საცხოვრებელი დატოვა. ვითარება განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, რაც ბაშარ ასადის ძალების მიერ გახსნილ ცეცხლს თურქი სამხედროები ემსხვერპლნენ.

ანკარამ თურქეთთან სასაზღვრო რეგიონში დამატებით ათასობით ჯარისკაცი და სამხედრო ტექნიკა გაგზავნა.

სირიის იდლიბის პროვინციაში საჰაერო დარტყმის შედეგად დაიღუპა ორი და დაშავდა კიდევ ორი თურქი სამხედრო.

სირიაში თურქეთის ძალების პოზიციებს საჰაერო ცეცხლი სირიის რეჟიმმა გაუხსნა. როგორც ანკარაში განაცხადეს, საპასუხოდ თურქმა სამხედროებმა ცეცხლი გაუხსნეს სირიის სამთავრობო სამიზნეებს. სამინისტროს ცნობით, „განეიტრალებულია“ სირიის ძალების 114 წევრი.

# მსოფლიოში უხუცესი კაცი

**112 წლის იაპონელი ტიტეცუ ვატანაბეს გარდაცვალების შემდეგ მსოფლიოს უხუცესი კაცი ბრიტანელი რობერტ უეტონი გახდა.**



უიეტონი 1908 წლის 29 მარტს დაიბადა და 1 თვეში 112 წლის ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ის გინესის რეკორდების წიგნში არ შეუყვანიათ, მსოფლიოში უხუცეს ადამიანად მიიჩნევა.

ბრიტანელს 3 შვილი, 10 შვილიშვილი და 25 შვილთაშვილი ჰყავს.

**მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით**

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.**

**ჩვენი ანგარიშია:** №GE19TB7601536020100009.

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22) ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.**
**ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

**„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!**

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.7928; ევრო - 3.0383;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6133;
100 რუბლი - 4.2578; თურქული ლირა - 0.4535;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6491;
1000 სომხური დრამი - 5.8335.

**ამინდი 28 თებერვლისთვის**

**აღმოსავლეთი საქართველო:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | -5, | დღე | +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე | +16 |

**დასავლეთი საქართველო:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +6, | დღე | +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -1 | დღე | +15 |
| თბილისი: | ღამე | 0, | დღე | +19 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge